ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## გიორგი მშვენიერაძე: „ხელისუფლება გამოხატვის თავისუფლების მორყევას ცდილობს“



გვ.4

8 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი

საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




ოთხშაბათი, 9 იანვარი, 2019 №6 (7861) ფასი: 60 თეთრი

# ბესელიასა და ფოფხაძის გარიცხვის საკითხი თებერვლისთვის გადაწყდება



## მამუკა მდინარაძე: „ვცდილობთ, გუნდის შიგნით დავალაგოთ ურთიერთობა“

გვ.3



## „ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს, „ოცნების“ რომელ ფრთას დაუჭერს მხარს“

გვ.5

რამაზ საყვარელიძე: „დაშლა არ არის დიდი პრობლემა. მასეთი დაშლილი ბევრი გვინახავს“



## დავით ლორთქიფანიძე: „მოსამართლეების ეს სია არ უნდა გავიდეს“

გვ.6



„ივანიშვილი შეცდომაში შეიყვანეს, როცა მან მურუსიძეს სააკაშვილის სისტემის მსხვერპლი უწოდა“

## ანა ნაცვლიშვილი: „მოსამართლეებს ისეთ განაჩენებზე აქვთ ხელი მოწერილი, რომ არაფრის რცხვენიათ“



## რატომ არ მივიდა გახარია სამებაში საშობაო წირვაზე

გვ.2





საპატრიარქო ხელისუფლებას აშანტაჟებს?

## თამარ ჩხეიძე: „მმართველ პარტიაში დაპირისპირება ღირებულებების გამო არ არის“

გვ.3



### სამართალი

გვ.7

ადვოკატი სიხუაშვილი: „პროკურორებს ზვიად ფხაკაძესა და ინა გუგუშვილს ტყუილებზე პასუხის გაცემა მოუწევთ“





პროკურატურამ თიბისი ბანკიდან დოკუმენტაცია გამოითხოვა

რუსთავში იუსტიციის სახლთან ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს





ქუთაისთან მანქანა ცხენს დაეჯახა

ISSN 1987-9385

**5** საქართველოში საწვავის ფასი მთელი წლის განმავლობაში არარეალური იყო

**8** კიევის სოფიის ტაძარში საშობაო ლიტურგია გაიმართა

**9** ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ 12 ტალანტში 3 ქართველი შეიყვანა

**11** ქართველი ოპერატორი გიორგი შველიძე ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოების ნომინანტია

# რატომ არ მივიდა გახარია სამებაში საშობაო წირვაზე

## საპატრიარქო ხელისუფლებას აშანტაჟებს?

შორენა მარსაგიშვილი

**დაიწყო თუ არა ბრძოლა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, რა ვალს უბრუნებს „ოცნება“ საპატრიარქოს, რას უკავშირდება გახარიას გაუჩინარება, რა შეცდომას უშვებს ივანიშვილი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.**

***–ირაკლი კობახიძე ბოლო დროს საკუთარ თავზე ბევრს იღებს. ის სინოდის საქმეებშიც ერევა უკვე. ამის გამო მას დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ ურჩია კიდევაც, ჯობია, თმის ნაცვლად წვერი მოუშვასო. ერევა პარლამენტის სპიკერი სინოდის საქმეებში?***

– ქართული გონიერება ჯერ კიდევ მყიფეა. პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ვერაფრით ჩაერევა საპატრიარქოს საქმეებში, იმიტომ, რომ პირიქით ხდება – ის საპატრიარქოს ინტერესებს განავრცობს. შესაბამისად, გამორიცხულია, რომ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელმა მიმდინარე ეტაპზე საპატრიარქო აიძულოს, მათთვის სასურველი გადაწყვეტილება მიაღებინოს.

სამაგიეროდ, საპატრიარქოს აქვს იმის ბერკეტები, რომ ხელისუფლება აიძულოს, მისი ინტერესები გაატაროს. ამ შემთხვევაში ერთგვარი ვალის გადახდის პროცედურა მიდის საპატრიარქოსთვის.

სალომე ზურაბიშვილის საახალწლო მილოცვაში სიტყვის თავისუფლებაზე ფრაგმენტის გამოყოფა სულაც არ უკავშირდება იმას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მის მიმართ იყო არაკორექტული განცხადებები. ასეთ არაკორექტულ განცხადებებს სიტყვის თავისუფლების დასავლური სტანდარტები ითმენს, მით უფრო, ის ამერიკული სტანდარტი, რომელიც საქართველოში მუშაობს.

ეს ყველაფერი ზურაბიშვილისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ საფრანგეთის მოქალაქე გახლდათ. გამოხატვის იმ თავისუფლებებთან შედარებით, რომლებიც ფრანგულ დემოკრატიას ახასიათებს, ქართული გამოხატვა იმ ფორმით, რომლითაც ქალბატონ სალომეს არ მოსწონს, დედის რძესავით ტკბილია.

სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ზურაბიშვილის გაკეთებული განცხადება საპატრიარქოს ნების გამოხატვა იყო.

ქართველმა პოლიტიკოსებმა და განსაკუთრებით ოპოზიციამ საპატრიარქოს ენა მოუჩლიქეს. საშობაო ეპისტოლეში სიტყვის თავისუფლებაზე წარმოჩენილი მომენტები მიიჩნიეს, როგორც ეკლესიის კეთილი ნება – მოწოდება შემრიგებლობისკენ, აქ სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე.

ეს არის იდეოლოგიური ბაზა, საპატრიარქომ ხელისუფლებას მესიჯად მისცა დავალება. ის, რაც შემდგომ ირაკლი კობახიძემ თქვა, ამ ხაზის გაგრძელება გახლავთ.

***– საპატრიარქო რატომ გამოდის სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ?***

– საპატრიარქოს დღეს ყველაზე ნაკლებად აწყობს, რომ ის ამხილონ. აი, ეს გახლავთ ამ დავალების ამოსავალი წერტილი. ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ხაზგასმით ვამბობ საპატრიარქოს, რომელიც საკუთარ წიაღში არსებული რიგი პრობლემების მიჩქმალვას ცდილობს.



ამ მიზნის მისაღწევად იმასაც კი არ ერიდება, რომ მასთან ვალში მყოფ პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და საპარლამენტო უმრავლესობას კატეგორიულად მოსთხოვოს, საპატრიარქო კრიტიკისგან საკანონმდებლო დონეზე იყოს დაცული.

***–და რა უნდა გააკეთოს პარლამენტმა, საპატრიარქოზე ხმის ამოღებას აგვიკრძალავენ? ისედაც ძალიან***

### გოჩა მირცხულავა: „ოცნება“ სიტყვის თავისუფლებას თუ შეზღუდავს, ქართველი საზოგადოებისგან ალიყურს მიიღებს“

***მოკრძალებულად და მოზომილად ვსაუბრობთ ეკლესიაში არსებულ ვითარებაზე.***

– მთელი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ამ საკითხის მიმართ მოზომილები ვართ, რასაც საპატრიარქო და სხვადასხვა საერო პირები ბოროტად იყენებენ. ამას იმათ წინააღმდეგ იყენებენ ბოროტად, ვისაც სურს, რომ ეკლესიაში ჯანსაღი ვითარება იყოს.

დღეს საქართველოს ეკლესიაში არსებული ვითარება არის უკიდურესად მძიმე და საგანგაშო. ჩვენ ვდგავართ ფაქტის წინაშე, როცა საერო თუ სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იმის უფლებას აძლევენ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დედამიწაზე მყოფ ღმერთად შერაცხონ და მის მიმართ კრიტიკა დაუშვებლად ცნონ.

მე მესმის იმ სენტიმენტების, მოკრძალებისა და პატივისცემის, რომელიც ჩვენი პატრიარქის მიმართ გაგვაჩნია. დარწმუნებული ვარ, პატრიარქს სულაც არ უნდა მისი პერსონის ისე გაფეტიშება, როგორც ამას ცალკეული მღვდელმთავრები აკეთებენ.

საქართველოს მოქალაქეებს გული გვტკივა იმაზე, რაც საპატრიარქოში ხდება. ჩვენ გვინდა, რომ ეკლესია უფრო გამჭვირვალე იყოს. ჩვენ ძალიან კორექტულად მივუთითებთ იმაზე, რომ ეკლესია იქ დასაქმებულთა კუთვნილება არ არის და ის ისტორიულად ერის კუთვნილებაა, სასულიერო პირები არიან ღვთის მსახურები. ეს გააზრება როცა იკარგება და მათ ამის გააზრებას ვთხოვთ, ეს ვერც ცილისწამება იქნება, ვერც შეფუთული სიმართლე. ეს არის ჩვენი გულისტკივილი და თხოვნა. ამაზე საპატრიარქოს ადეკვატური პასუხი უნდა ჰქონდეს.

როდესაც საპატრიარქოს სამდივნო საშობაო ეპისტოლეში ცილისწამებაზე გვესაუბრება, მათ ერთი რამ უნდა ახსნან. ხაზგასმით ვამბობ, ბოლო წლებში ეპისტოლეებს წერს საპატრიარქოს სამდივნო.

როცა სამდივნო ცილისწამებაზე გვესაუბრება, იმაზე რატომ არ იღებენ ხმას ცალკეული მღვდელმთავრები და საერო პირები, დეკანოზ გიორგი მამალაძეს რომ ცილს სწამებენ? ისინი ამტკიცებენ, რომ მამა გიორგის შორენა თეთრუაშვილის მოწამვლა კი არა, არამედ საქართველოს პატრიარქის მოკვდინება სურდა.

ასეთი უამრავი კითხვა არსებობს. საპატრიარქოს სამდივნო ყურადღებას ამახვილებს საერო პირებისგან წამოსულ ცილისწამებაზე. მეუფე პეტრესთან დაკავშირებით რატომ არ ამოიღეს ხმა? ჩვენ ვნახეთ დოკუმენტები, თუ როგორ ითხოვდა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პატრიარქისგან დაწყებულიყო იმ ცილისწამების შესწავლა, რამაც მის წინააღმდეგ გაიჟღერა. ამას რატომ წაუყრუა საპატრიარქომ? ორმაგი სტანდარტი ნებისმიერ სიტუაციაში დამღუპველია.

სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა პირდაპირ მომდინარეობს საპატრიარქოს სამდივნოდან. საქართველოს საერო ხელისუფლება ამ მხრივ გამოუვალ მდგომარეობაში, რომელიც, თავის მხრივ, საპატრიარქოსთან ვალშია. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ეკლესიამ ხელისუფლებას გარკვეული სამსახური გაუწია, ახლა „ოცნება“ ვალდებულია, ვალი დააბრუნოს.

***– სცალია ამისთვის „ოცნებას“? ლამისაა, თავზე დაემხოთ პარტია.***

– ის, რაც დღეს მმართველ პარტიაში ხდება, ჩემთვის მოულოდნელი არ არის, ეს გახლავთ ივანიშვილის მართვის სტილი და ფორმა. დამიჯერეთ, ეს სულაც არ არის იმის დემონსტრირება, რომ ის ირაკლი კობახიძესა და ნეოკომკავშირელებს უჭერს მხარს.

ამ ადამიანს აქვს ასეთი შინაგანი რწმენა – რა შუაშია აქ მურუსიძე. ჩვენდა სამწუხაროდ, ის ვერ იაზრებს მოსამართლეებთან დაკავშირებულ პრობლემებს. არც იმას მივესალმები, რომ ეკა ბესელია მარია მაგდალინელად და სამართლის სადარაჯოზე მდგომად წარმოჩნდეს.

„ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ამ ქალბატონისგან ბევრი უტიფრობა გვაქვს მოსმენილი. ამიტომაც მის მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილი სოლიდარული არ არის. არადა, 2012 წლამდე მას ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. ეს აქტივი ამ 6 წელში გაანიავა. მან ისე შეაძულა ხალხს თავი, რომ დღევანდელი მისი კდემამოსილება და სამართლის სადარაჯოზე დგომა გარკვეულ ცინიზმსაც უკავშირდება, მიუხედავად იმისა, რომ მისი პოზიცია მურუსიძესთან დაკავშირებით სავსებით გასაზიარებელია.

„ოცნებაში“ რაც ხდება, ეს არის ცოცხალი პროცესი – ივანიშვილი აკვირდება თავის ლაქიებს. აინტერესებს, ვინ როგორ მოიქცევა. მას აწყობს, რომ პარტიაში რამდენიმე, ერთმანეთთან დაპირისპირებული ჯგუფი იყოს. ერთიანი, მონოლითური გუნდის არსებობა მის ინტერესებში არ შედის.

***– რატომ? რაში შეუშლის ხელს, გუნდი თუ ერთიანი იქნება?***

– გუნდი თუ ერთიანი, მონოლითური და ძლიერი იქნება, შეიძლება, ივანიშვილსაც რაიმე განაჩენი გამოუტანოს, ხოლო თუ პარტია გუნდებად იქნება დაქუცმაცებული, ამ გუნდებისთვის ივანიშვილი ყოველთვის იქნება ავტორიტეტი, რომელსაც აქვს ჭარბი ნდობა.



***– თავის დროზე შევარდნაძემაც დააქუცმაცა გუნდი და მერე ძალიან ცუდად დაამთავრა ეს ამბავი. ივანიშვილს იგივე ხომ არ ელოდება?***

– ვიღაცები ფიქრობენ, რომ დღეს ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილ-კობახიძის ტანდემის სახით შევარდნაძე-ჟვანიას ანალოგია თამაშდება. ამ მოსაზრებას ვერაფრით დავეთანხმები. ბატონი კობახიძე ჟვანიას წელამდე ვერ სწვდება, ვერც პოლიტიკურ ინტელექტში და ვერც პოლიტიკის გააზრების საკითხებში. პოლიტიკის შექმნის თვალსაზრისით, არც ბატონი ივანიშვილი გახლავთ შევარდნაძე.

ირაკლი კობახიძე ერთი ჩვეულებრივი მარიონეტია, რომელიც ქართული სახელმწიფოს სირცხვილი გახლავთ. სამწუხაროა, რომ „ოცნების“ ლიდერი ამას ვერ იაზრებს.

გაბრიაძის მარიონეტებში ვინც არ არის ნამყოფი და არ აქვს ნანახი „სტალინგრადის ბრძოლა“, შეუძლია, ივანიშვილის მარიონეტების „პარლამენტის ბრძოლას“ უცქიროს. თოჯინები ბევრად უხარისხონი არიან, დრამატურგიულადაც მთლად გამართული არ არის, მაგრამ უგემოვნო პუბლიკას მაინც მოხიბლავს.

***– ისევ სიტყვის თავისუფლების თემას დავუბრუნდეთ. შეიზღუდება საქართველოში სიტყვის თავისუფლება?***

– ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დაარწმუნებს მმართველი პარტია საპატრიარქოს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა საპატრიარქოს მოკავშირე ხელისუფლებისთვის იქნება საზიანო.

ახლა ხალხი, ერთი შეხედვით, მშვიდად არის, მაგრამ დაგროვილმა უკმაყოფილებამ შესაძლოა ნებისმიერ წამს იფეთქოს. ამ აფეთქების მაპროვოცირებელი შესაძლოა ნებისმიერი რამ გახდეს, მათ შორის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა.

„ქართული ოცნება“ ბრმად თუ დაემორჩილება საპატრიარქოს და სიტყვის თავისუფლებას შეზღუდავს, ქართველი საზოგადოებისგან დიდ ალიყურს მიიღებს.

***– თქვენ ბრძანეთ, რომ ხელისუფლება საპატრიარქოსთან ვალშია და იძულებულია, მისი მოთხოვნები შეასრულოს. ამას ხომ არ უკავშირდება გიორგი გახარიას ჩაჩოჩება? ეს ადამიანი პრემიერად მოიაზრებოდა, ძალიან აქტიურად ჩანდა, მაგრამ ერთ დღეს მეუფე იაკობმა თქვა, რომ გახარიას გაპრემიერებას არ დაუშვებს. ამის შემდეგ გახარია გაქრა.***

– არა მგონია, გახარიას გვერდზე გაწევა ამასთან იყოს კავშირში. საშობაო ეპისტოლედან გამოჩნდა, რომ საპატრიარქო თვლის თავის თავს ხელისუფლებად. ამას ხელისუფლება ვერც კი ხვდება და ეს არის პირველ რიგში მათი პრობლემა.

ყველა ნათლად ვხედავთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ძალიან გაძლიერდა საპატრიარქო. მათ წამოაყენეს არაერთი ხილული თუ უხილავი მოთხოვნა. თქვენ მიერ ნახსენებმა მღვდელმთავარმა საერთოდ უტიფარი განცხადება გააკეთა, რაც სეკულარიზმის აშკარა დარღვევაა.

ჩვენ დავინახეთ ისიც, რომ თურმე სასულიერო პირს საერო პირისთვის ფიზიკური ანგარიშსწორების უფლება აქვს და ამაზე კურთხევას პატრიარქი იძლევა.

ახლა ის გვესმის, რომ პრემიერიც საპატრიარქომ უნდა დაგვინიშნოს. ეს დიდი მოულოდნელობა არ უნდა იყოს, რადგან სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობაზე საპატრიარქოს ხელდასხმული პირები ინიშნებოდნენ, რაც საერო ხელისუფლების სისუსტის მანიშნებელია. დღეს ეს სისუსტე ბევრად უფრო თვალნათელია.

***– ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად საპატრიარქოს ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია დანიშნა.***

– რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. საპატრიარქო მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი მისია და მან ის უნდა გააკეთოს, რაც საპატრიარქოს სურს.

შობის ღამეს სამების საკათედრო ტაძარში მე ბატონი გახარია ვერ ვნახე. თუ ის იქ პოლიტიკური მიზეზით არ მივიდა, ეს არის სწორი გადაწყვეტილება.

***– სწორი გადაწყვეტილება რატომ არის?***

– გახარიას მიუსვლელობა თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, ამით მან საპატრიარქოს მიანიშნა, რომ სასულიერო ხელისუფლებას უფლება არა აქვს, საერო ხელისუფლებას ასე ელაპარაკოს, როგორი ლაპარაკიც მოვისმინეთ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თამარ ჩხეიძე: „მმართველ პარტიაში დაპირისპირება ღირებულებების გამო არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე კონფლიქტსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატ თამარ ჩხეიძეს.**

***– „ქართულ ოცნებაში“ დაწყებული პროცესები და კონფლიქტი ქართული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი კლასიკური მოვლენაა თუ ახლანდელი მმართველი პარტია ამ მხრივ განსაკუთრებულია?***

– ძირითადად, ეს კლასიკური დაპირისპირებაა. პარტიებში ტრადიციულია ბრძოლა გავლენებისათვის. აშკარად გამოიკვეთა ის, რომ „ქართული ოცნების“ წევრებს, მათ შორის, პარლამენტში, ეკრძალებათ აზრის გამოთქმა. ამის მკაფიო მაგალითი დეპუტატი დავით ჭიჭინაძეა. დამოუკიდებლად, შეუთანხმებლად თავისი პოზიციის გამოხატვისათვის ის გააძევეს პარტიიდან და ფრაქციიდან.

***– ახლანდელ დაპირისპირებაზე რა შეიძლება ითქვას?***

– მხარეებს შორის ღირებულებების გამო დაპირისპირება არ არის. სასამართლო სისტემაში აქამდეც ბევრი მიუღებელი რამ ხდებოდა, მაგრამ ეკა ბესელიას ამაზე ხმა არ აუმაღლებია.

***– დაპირისპირებული ჯგუფები კონიუნქტურას მისდევენ?***

– მაგას ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ფასეულობებისთვის ბრძოლა არ ჩანს. მმართველ პარტიაში თავისუფლად აზრის გამოთქმის უფლება არავის აქვს. ჭიჭინაძემ ეს წესი დაარღვია და ამისათვის იგი დასაჯეს.

***– ერთიანი იქნება „ქართული ოცნება“, ორად გაყოფილი თუ დაქუცმაცებული, ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? ხალხი მას უნდობლობას უცხადებს. ეს საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში დადასტურდა.***

– ამ პროცესებს რაღაც მნიშვნელობა მაინც აქვს. ხალხის უნდობლობა უეჭველია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან პროცესები ვითარდება უმეტესად საგარეო ფაქტორების საფუძველზე. ეს იყო მამოძრავებელი არჩევნების დროს.

***– საპრეზიდენტო არჩევნებს გულისხმობთ?***

– რასაკვირველია. პუტინის ჩარევა საპრეზიდენტო არჩევნების დროს მასშტაბური იყო. საზოგადოების განწყობას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გადამწყვეტი არ აღმოჩნდა. მხოლოდ ხალხის არჩევანზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული არჩევნების ბედი, „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებდა.

ოპოზიციისა და მისი კანდიდატის წინააღმდეგ მძლავრი მანქანა იყო ამუშავებული. ასეთ წნეხს ოპოზიციამ ვერ გაუძლო. წესით, „ქართული ოცნება“ ვერ უნდა იმარჯვებდეს შექმნილი მძიმე სიტუაციისა და კანაფის საკითხის აქტუალიზაციის ფონზე.

***– გგონიათ, რომ კანაფის პლანტაციების გაშენებას ისევ მიუბრუნდებიან? ძალიან ბევრი ადამიანი ამას ვარაუდობდა.***

– „ქართული ოცნების“ გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, პარტია ამ საკითხის განხილვასაც ვერ გაბედავდა. ამით დაინტერესებულია ბიძინა ივანიშვილი. ამ კანონპროექტის პარლამენტიდან გამოტანა იმიტომ მოხდა, რომ არჩევნები ახლოვდებოდა. მმართველი პარტიიდან გამოჟონილი ინფორმაციით, კანაფის პლანტაციები ისევ აქტუალური ხდება. ალბათ, ივანიშვილის მოთხოვნით ამ კანონპროექტს ისევ შეიტანენ პარლამენტში.

***– რამდენიმე თვეა, რუსი ექსპერტები, რომლებიც კრემლის რუპორები არიან, საუბრობენ იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ გაამართლა. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ რუსეთში ივანიშვილის პარტიის აღსასრულზე ალაპარაკდნენ.***

– შესაძლოა, რუსეთს იმედი აღარ აქვს, რომ „ქართული ოცნების“ გაყვანა კიდევ გამოუვა. ზოგადად, რუსეთი ერთ ძალას არ ეყრდნობა. კრემლს, როგორც წესი, მოძებნილი ჰყავს სარეზერვო ვარიანტები. ივანიშვილზე აქცენტი 2012 წელს არ გაკეთებულა. ის მანამდე დიდი ხნით ადრე ჰყავდათ შერჩეული. ერთხელ ივანიშვილის მომავალ ამპლუაზე შევარდნაძემაც ისაუბრა.

ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსასვლელად მაშინ ემზადებოდა, როცა ინტელიგენციის ნაწილისთვის სტიპენდიების გადახდა დაიწყო. რუსეთს ახლაც ეყოლება რამდენიმე სარეზერვო ძალა, ვისაც შეიძლება საქართველოში გაატარებინოს თავისი ინტერესები.

***– გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ოპოზიციის მიმართ წნეხი ახსენეთ. შეინარჩუნებს გაერთიანებული ოპოზიცია არსებულ ფორმატს?***

– ეს დამოკიდებულია იმაზე, ჩათვლიან თუ არა ამას საჭიროდ პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც მხარს უჭერდნენ გრიგოლ ვაშაძეს. მონოლითობა მუდმივი მოვლენა არ არის.

***– 2020 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის ახალი გაერთიანებები და ახალი ძალები გამოჩნდებიან?***

– ხშირად ახსენებენ ე.წ. მესამე ძალას, რომელიც უნდა გამოჩნდეს. მეეჭვება, გაჩნდეს ძლიერი ახალი ძალა, რომელიც გაიმარჯვებს და ყველაფერს შეცვლის. ასეთი რამ ხელოვნურად არ ხდება. გაერთიანებული ოპოზიცია ბოლო არჩევნების დროს ბევრს მუშაობდა, მას ჰქონდა საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა, ხალხი განწყობილი იყო მმართველი პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ, საბოლოოდ, ოფიციალური მონაცემებით, ოპოზიციის კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა.

„ქართულ ოცნებასთან“ შედარებით ოპოზიციის რესურსი მოკრძალებული იყო – მან ბილბორდებიც კი ვერ დაბეჭდა. ოპოზიცია შეეჯახა უზარმაზარ შესაძლებლობებს. როცა ძალას არ გააჩნია უმძლავრესი რესურსები, ამის საკომპენსაციოდ აუცილებელია მოსახლეობის ძალიან დიდი აქტიურობა.

***– აქტიურობაში მხოლოდ ხმის მიცემა არ იგულისხმება?***

– მარტო ხმის მიცემა არ კმარა. ოპოზიციის კანდიდატმა საკმარისი ხმები მიიღო, მაგრამ მასშტაბურ გაყალბებას და სხვა რესურსებს ოპოზიციამ ვერაფერი დაუპირისპირა. მარტო აქტივი ვერაფერს გახდა.



***– გამოსვლებიც იყო.***

– ხმების დასაცავად არ გამოსულა ხალხის სათანადო რაოდენობა. ოპოზიციას წარმომადგენლები საარჩევნო უბნებზეც ჰყავდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. პოლიტიკურად გამოცდილმა და გამობრძმედილმა ხალხმა ვერ შეძლო ხმების დაცვა და ახალი ძალა რას მოახერხებს?!

ქვეყნისთვის მთავარია არა მესამე ან მეხუთე ძალის გამოჩენა, არამედ, მოსახლეობის ძალიან დიდი აქტიურობა მშვიდობიანობის ჩარჩოებში. არ ვამტკიცებ, რომ ოპოზიციის მხარეს ფრთიანი ანგელოზები დგანან, მაგრამ მათი კანდიდატის მოსვლა ხელისუფლებაში მოიტანდა თანდათანობით ცვლილებებს. ამის შედეგად შეიქმნებოდა პირობები ახალი ძალების გამოჩენისთვის.

ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია აქტიურობა როგორც საარჩევნო უბნებზე, ისე ხმების დასაცავად. მესამე ახალი ძალის პასიური მოლოდინი არაფერს მოიტანს.

---

# ბესელიასა და ფოფხაძის გარიცხვის საკითხი თებერვლისთვის გადაწყდება

## მამუკა მდინარაძე: „ვცდილობთ, გუნდის შიგნით დავალაგოთ ურთიერთობა“

შორენა მარსაგიშვილი

**ვერა და ვერ დალაგდა „ოცნება“, არც ახალი წლის ზეიმები შველით და არც საშობაო ეპისტოლე. ამათი წამალი ბიძინაა, რომელიც მალე გამოუწერს თავის გუნდს რეცეპტს.**

მანამდე კი მმართველი პარტია საკუთარი ძალებით ცდილობს დალაგებას. გუშინ, 8 იანვარს, საპარლამენტო უმრავლესობა დახურულ კარს მიღმა შეიკრიბა. შეკრებას ეკა ბესელია არ ესწრებოდა.

ის თავის თანამოაზრეებთან ერთად ახალი ფრაქციის შექმნას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციით, მასთან ერთად ახალ ფრაქციაში ლევან გოგიჩაიშვილი, რევაზ არველაძე, რომან კაკულია, გედევან ფოფხაძე და დავით ჭიჭინაძე იქნებიან.

მომავალ თანამებრძოლებთან ბესელიამ საქმიანი შეხვედრა გუშინ, 8 იანვარს გამართა. ის არველაძეს, ჭიჭინაძესა და ფოფხაძეს ესაუბრა.

– თანამოაზრეები ვსაუბრობთ იმ ნაბიჯებზე, რომლებიც ეხება მოსამართლეების შერჩევის პროცესს, რათა ის იყოს რაც შეიძლება გამჭვირვალე და ჯანსაღი. პოლიტიკური ინსტრუმენტები – ფრაქცია იქნება თუ რაიმე ტიპის ერთობა, არ არის მიზანი და თვითმიზანი. ყველაფერი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინსტრუმენტი მთავარი მიზნის მისაღწევად, რომ ქვეყანას დავუტოვოთ დამოუკიდებელი მართლმსაჯულება. ჩვენი შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიცია ექნება ფრაქციასაც და უმრავლესობასაც. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მათი პოზიცია სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუ მოხდება თანხვედრა და ჩვენი პოზიციების ერთ შეთანხმებულ საკითხამდე მისვლა, შესაძლოა ამ პროცესის ჯანსაღად გაგრძელება. თუ იქნება რადიკალური განსხვავება, ამის შემდეგ განვიხილავთ შემდგომ ნაბიჯებს, – განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში ბესელიამ.





შეხვედრის დასრულების შემდეგ ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ ახალი ფრაქციის შექმნაზე საუბარი არ ყოფილა. მისი მტკიცებით, შეხვედრის მიზანი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატებთან დაკავშირებით ერთობლივად სამოქმედო გეგმაზე საუბარი გახლდათ.

– ახლა ახალი ფრაქციის შექმნაზე საუბარი არ გვქონია. ჩვენ საუბარი, უბრალოდ, გვქონდა იმაზე, რომ ამ მოსამართლეებთან მიმართებით ერთობლივად ვიმოქმედოთ, როგორც ადრე ვმოქმედებდით, რომ საზოგადოებამ პარლამენტს ამ მოსამართლეების არჩევის საშუალება არ მისცეს.

ჯერ ეკასა და გედის ბედი არ გადაწყვეტილა და გუნდში არკვევენ რაღაც-რაღაცებს. მე ვფიქრობ, „ქართული ოცნებისთვის“ დამაფიქრებელი უნდა იყოს, რომ ასეთმა ხალხმა ან ფრაქცია და ან უმრავლესობა უსასმართლო მოსამართლეების გამო დატოვოს. თუ იმ ადამიანებს დაატოვებინებენ რიგებს, რომლებიც პირველი დღიდან სამართლიანობისთვის იბრძოდნენ, ამით „ქართული ოცნება“ ბევრს ვერაფერს მოიგებს.

მე პარტიიდან გამრიცხეს, თორემ უმრავლესობიდან და ფრაქციიდან ჩემით წამოვედი. ხომ ვამბობ, რომ კობახიძე საბჭოთა ყრილობებზეა გაზრდილი, ამიტომ უნდა დახურული სისტემა. დანიშნეს, მისცეს თანამდებობა და ჰგონია, რომ გამოიყენა. არ მგონია, რომ ბესელიასთან მიმართებით იგივე მოხდეს.

საერთოდ, ვთვლი, რომ ისეთი ხალხი, როგორიც მე, ბესელია და კიდევ ბევრი ვართ, ვინც სამართლიანობისთვის ვიბრძვით, თუ პარტიას დატოვებენ, არ მგონია, ეს პარტია შემდეგში ვინმესთვის მისაღები იყოს. თუ ბესელია გუნდს დატოვებს, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას კი არა, პირდაპირ გეუბნებით, ხელისუფლებას დაკარგავს, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ჭიჭინაძემ.

უმრავლესობის თავყრილობაზე მყოფმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ მათთვის გუნდის ერთიანობაა მნიშვნელოვანი და არავის გარიცხვა არ სურთ.

– ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, გუნდის თითოეულ წევრს მოვუფრთხილდეთ. გარიცხვასა და მსგავს საკითხებზე არ ვსაუბრობთ. ყოველთვის ვცდილობთ, გუნდის შიგნით დავალაგოთ ურთიერთობები, მოვუწოდებ სხვებსაც, ასევე მოიქცნენ და ამის შემდეგ თუ გამოუვალ სიტუაციამდე მივა საქმე, მსგავსი საუბრები დაიწყოს შემდეგ. ასე მოხდა შარშანაც, როცა გამოუვალ სიტუაციამდე მივედით და მოუწია ერთ წევრს უმრავლესობის დატოვება, – აღნიშნა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ.

მისი თქმით, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვთ, გარიცხავენ თუ არა „ოცნებიდან“ ფოფხაძესა და ბესელიას.

მდინარაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამაზე უახლოეს მომავალში იმსჯელებენ და გადაწყვეტილებას საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე გამოაცხადებენ. პარლამენტში საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს დაიწყება.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ უმრავლესობამ ხშირად უნდა გამართოს შეხვედრები, ამბობს, რომ ასეთი შეხვედრები კოორდინაციას აუმჯობესებს.

ასეთი შეხვედრების მომხრეა უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილიც. მან არ იცის, გარიცხავენ თუ არა ვინმეს უმრავლესობიდან.

ქუცნაშვილისთვის არც ის არის ნათელი, რა ცვლილებები მოხდება პარლამენტში, ამბობს, რომ საკადრო ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ საპარლამენტო თანამდებობებთან.

– უმრავლესობაში საკადრო ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ საპარლამენტო თანამდებობებთან, ანუ ვის აირჩევს პარლამენტი მომავალი კომიტეტის თუ ფრაქციის თავმჯდომარეებად ან ვის გადაირჩევს. ასე რომ, პარლამენტი, მოგეხსენებათ, არ წარმოადგენს ვერტიკალური ხელისუფლებების განშტოებას, სადაც უფროსის ნებაზეა დამოკიდებული მისი მოადგილისა თუ ხელქვეითის საკითხი“, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

სანამ „ოცნებაში“ ურჩების გარიცხვაზე მსჯელობენ, ურჩები სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრების გამართვას გეგმავენ.

მომავალი კვირიდან ეკა ბესელია, გედევან ფოფხაძე და ლევან გოგიჩაიშვილი შეხვედრებს გამართავენ.

– შემდეგი კვირიდან დავიწყებთ შეხვედრებს სხვადასხვა ჯგუფთან, ვინც გამოთქვამს მზადყოფნას, იყოს ამ პროცესის თანამონაწილე. ეს არის პროფესიული წრეები, აკადემიური წრეები, სამოქალაქო საზოგადოება, რომლებსაც აქვთ ინტერესი, იყვნენ თანამოაზრე ამ პროცესში. ასეთი შეხვედრების დაგეგმვას ვაპირებთ შემდეგ კვირაში. ბევრი ადამიანია შეხვედრების მსურველი. გავმართავთ ასეთ შეხვედრებს, რათა საკითხი არ ჩაიკეტოს ერთ გუნდში და მისი განხილვა ღია იყოს, – განაცხადა ბესელიამ.

# ანა ნაცვლიშვილი: „მოსამართლეებს ისეთ განაჩენებზე აქვთ ხელი მოწერილი, რომ არაფრის რცხვენიათ“

ნათია ხურცილავა

**ყოფილი პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, იურისტი ანა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 10-კაციან სიაზე საუბრობს, რომელიც პარლამენტშია წარდგენილი.**

***– ქალბატონო ანა, თქვენი პოზიცია როგორია იმ 10-კაციან სიაზე, რომელიც პარლამენტშია წარდგენილი უზენაეს სასამართლოში უვადოდ დანიშვნის მიზნით? საზოგადოებისთვის ცნობილია ის პოლიტიკური კონტექსტი, რომელიც ახლავს ამ პროცესს.***

– საბჭოს მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ბოლო წლების განმავლობაში თვალნათლივ ვხედავდი, თუ როგორ გადაიქცა საბჭო ორგანოდ, რომელიც ყველაფერზე მაღლა აყენებს საკუთარ თავს. მას ამის უფლება არაერთხელ მისცა პარლამენტმა. ეს ყველაფერი არის ლოგიკური განვითარება იმ პოლიტიკის, რომელსაც ატარებდა, ერთი მხრივ, საბჭო და, მეორე მხრივ – პარლამენტი. მიუხედავად ამისა, ის განაცხადი, რომელიც თან ახლავს ამ 10-კაციან სიას, მაინც, შეიძლება ითქვას, ახალი წითელი ხაზია, რომლის გავლებასაც ახლა მოსამართლეთა კლანი ცდილობს. ახლა არის ვითარება, როდესაც პარლამენტმა, როგორც ინსტიტუციამ, არ უნდა მისცეს მას საშუალება, ახალი წითელი ხაზი გადაკვეთოს.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით მოსამართლეთა კანდიდატებს არა პრეზიდენტი, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასახელებს. საკონსტიტუციო ცვლილებების დროს მმართველი გუნდი, მიუხედავად ჩემი და სხვა ადამიანების პოზიციისა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით აპელირებდნენ და ამ ცვლილებას სწორედ



ამით ამართლებდნენ. თუ ამ ლოგიკას მივყვებით, დღეს ეს ლოგიკა სრულიად დარღვეულია.

***– რატომ?***

– ვენეციის კომისია ამბობდა, რომ ეს ის პროცესია (მოსამართლეთა დაკომპლექტება), უკეთესია, გააკეთოს არა პოლიტიკურმა ორგანომ, არამედ პროფესიულმა უწყებამ, როგორიც იდეაში უნდა იყოს იუსტიციის საბჭო, რომლის ფუნქციაც მართლმსაჯულების ინტერესების დაცვაა ყველა ნორმალურ ქვეყანაში და არა კლანური ინტერესების დაცვა. ვენეციის კომისიის მთელი ეს სულისკვეთება დღეს დარღვეულია. დახურულ კარს მიღმა შედგა ეს სია, არანაირი შეჯიბრებითობის პროცესი არ ყოფილა. არანაირი გამჭვირვალობა და სიცხადე ამ პროცესს არ ახლდა. რატომ ეს 10 კაცი და რატომ არა სხვა 10 კაცი? მაშინ, როდესაც საქართველოში 200 მოსამართლე გვყავს. ამ კითხვაზე დღეს ჩვენ პასუხი არ გვაქვს. რატომ არ შეიძლებოდა ახალი კადრების, ახალი სისხლის შემოყვანა?! სხვა მოსამართლეები არც კი განიხილა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. ამით მათ თავიანთ კოლეგებს, მოსამართლეთა კორპუსს მიაყენეს შეურაცხყოფა.

***– როგორც ჩანს, პროცესი ჩიხშია შესული. რა უნდა გაკეთდეს, რომ საზოგადოებას კითხვები არ დარჩეს ამ პროცესთან დაკავშირებით?***

– პარლამენტს, როგორც ინსტიტუციას, თუ თავმოყვარეობა შერჩა, მაშინ ის ამ სიის განხილვაში არ უნდა შევიდეს. პარლამენტმა უნდა თქვას, რომ ის ამ სიაზე არ იმსჯელებს, ასეთი პროცესით გამომცხვარ სიაზე. გამჭვირვალე პროცესით, კანონის წესების სრული დაცვით შერჩეულ სიაზე უნდა იმსჯელოს საკანონმდებლო ორგანომ. ძალიან მაღალი სტანდარტით შერჩეულ და გამოვლენილ სიაშიც შეიძლება, ვიღაც არ მოიწონოს პარლამენტმა და ეს სავსებით ნორმალური იქნება. თუმცა, დღეს საუბარია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტმა, როგორც ინსტიტუციამ, სახე შეინარჩუნოს.

***– ცნობილია, რომ საბჭო სიას არ გაიწვევს.***

– დიახ, ალბათ არ გაიწვევს. ამ ხალხს ისეთ განაჩენებზე აქვთ ხელი მოწერილი, რომ რასაკვირველია მათ ამ სიის სულ არ რცხვენიათ. თუმცა, ახლა მთელი სიმძიმის ცენტრი პარლამენტზე გადადის. ახლა არის მომენტი როდესაც ძალიან ნათლად გამოჩნდება რეალურად პარლამენტი და მისი თითოეული წევრი სად დგას?! ამ სიის მხარდაჭერა შავი ლაქა იქნება თითოეული დეპუტატის ბიოგრაფიაში. ისინი ამ ლაქას ვერასდროს ჩამოირეცხავენ.

***– ერთგვარი ტესტი იქნება?***

– რა თქმა უნდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტესტი იქნება საზოგადოებისთვის. ჩვენ დავინახავთ, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების დასამარების უკან სინამდვილეში ვინ დგას, ეს მხოლოდ სასამართლოში გაბატონებული კლანია თუ საკანონმდებლო ორგანოში მივლენილი ადამიანები, სრულიად სხვა ფუნქციით. ახლა სრულიად აშკარად და ნათლად ჩანს ეს წითელი ხაზი, რომელსაც ისინი ან გადაკვეთენ ასე ღიად, ან – არა.

***– რამდენად მოსალოდნელია მოვლენების ასე განვითარება, თუნდაც იმ შეხვედრის შემდეგ, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარეს საბჭოს მდივან მიქაუტაძესთან ჰქონდა?***

– ეს შეხვედრა საერთოდ არაფერში წერია. პარლამენტის თავმჯდომარე მაღალი პოლიტიკური ფიგურაა, მაგრამ მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ყველა დეპუტატს, ერთი ხმა აქვს, ასევე კოლექტიური ორგანო არის იუსტიციის საბჭო, რომლის მდივანსაც ერთი ხმა აქვს. რას ნიშნავდა ეს შეხვედრა?! ამ შეხვედრის ფორმატი არასწორი იყო, მით უმეტეს, როდესაც ასეთი რთული ვითარებაა შექმნილი და როდესაც ასეთი მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი, დაუშვებელია, მსგავსი შეხვედრები დახურულ კარს მიღმა იმართებოდეს. მსგავსი შეხვედრები საჯარო უნდა იყოს და საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოისმინოს, რაზე საუბრობს ორივე მხარე.

***– ამ შეხვედრამ უფრო მეტი კითხვა გააჩინა, ვიდრე მოხსნა?***

– რა თქმა უნდა. შეხვედრის ეს ფორმატი სრულიად მიუღებელი იყო. ამ შეხვედრამ, რასაკვირველია, მეტი კითხვა გააჩინა.

***– რატომ გამოიწვია ამ 10 ადამიანმა ასეთი მძაფრი რეაქცია, ასეთი ოდიოზურია ეს გვარები? თუმცა, საზოგადოებას ახსოვს თითოეული მათგანის, შეიძლება რამდენიმეს გამოკლებით, გახმაურებულ საქმეებზე გადაწყვეტილებები.***

– ერთი წუთით თავი რომ დავანებოთ ამ გახმაურებულ საქმეებს, დღეს რა საკითხი წყდება, რაზეა საუბარი?! საუბარია ამ ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში მომავალი 20-25 წლის განმავლობაში არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, არამედ პოლიტიკური ხელისუფლებები რომ წავლენ და წამოვლენ, სასამართლო ხელისუფლებაში ეს ხალხი იქნება უვადოდ დანიშნული. ამაზეა საუბარი და ნორმალურ ვითარებაში ეს საკითხი უნდა წყდებოდეს, ამა თუ იმ კანდიდატს რა წვლილი აქვს შეტანილი სამართლის ისტორიის განვითარებაში, რა პროგრესული გადაწყვეტილება აქვს მიღებული და დაწერილი, რომელიმე მათ გადაწყვეტილებას ციტირებს თუ არა, მაგალითად, სტრასბურგის სასამართლო ან მეზობელი ქვეყნის იურისპრუდენცია. ჩვენს შემთხვევაში კი უზარმაზარი შავი ლაქებია მათ პროფესიულ ცხოვრებაში. ამ განსხვავებაზეა საუბარი. მთლიანად შეტრიალებულია სიტუაცია. ესეც აჩვენებს, რამდენად ანომალიურ სიტუაციაში ვიმყოფებით.

ნამდვილად არსებობენ ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში ბევრი არა, მაგრამ მაინც ადამიანები, რომლებიც არიან გამორჩეულები და რომელთა დასახელებაც, როგორც კანდიდატების ლოგიკური იქნებოდა. ეს ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ სისტემაში თანასწორ შესაძლებლობებს.

# გიორგი მშვენიერაძე: „ხელისუფლება გამოხატვის თავისუფლების მორყევას ცდილობს“

იაგო ნაცვლიშვილი

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლეში საქართველოში დღეს არსებული სიტყვის თავისუფლების პრაქტიკა უარყოფითად არის შეფასებული.**

„არის დიდი მცდელობა სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებისა. თავისთავად, სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედიაც და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა და ნააზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა“, – აღნიშნულია ეპისტოლეში.

სიტყვის თავისუფლებასა და სიტყვით ძალადობაზე განცხადება პატრიარქის ეპისტოლეს შემდეგ ირაკლი კობახიძემაც გააკეთა, რომელმაც თქვა, რომ ცილისწამება, სიცრუე, ბილწსიტყვაობა პრობლემაა.

ხომ არ არის ეპისტოლეს ეს ნაწილი და მისი ხელისუფლების მიერ ატაცება სახიფათო გზავნილი და ხომ არ ემუქრება საფრთხე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, მათ შორის მედიის თავისუფლებასაც? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის ხელმძღვანელ გიორგი მშვენიერაძეს ესაუბრა.

***– მოვისმინეთ საშობაო ეპისტოლე, სადაც სიტყვის თავისუფლებაზე იყო საუბარი, რომელიც შემდეგ უკვე ხელისუფლების წარმომადგენლებმა აიტაცეს. ხომ არ არის სახიფათო გზავნილი იმ დემოკრატიული მონაპოვრის გზაზე, რომელსაც სიტყვის თავისუფლება ჰქვია?***

– როდესაც სიტყვის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მათ შორის სასულიერო პირებს, ეკლესიასა და პატრიარქსაც აქვთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და მათ შეუძლიათ, საკუთარი აზრი გამოხატონ საჯაროდ. აქ პრობლემას უფრო იმაში ვხედავ, რომ ეკლესიის პოზიცია, რომელიც ჩანდა პატრიარქის ქადაგებაში, აიტაცეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. თორემ ეკლესიას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი პოზიცია და შესაძლოა არ იყოს თანხვედრაში კონსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოებთან, რომლებიც გვაქვს. პრობლემა არის სხვა ადგილას.

***– სად?***

– ეს არის ხელისუფლებაში, რომელმაც გზავნილები გამოგზავნა საზოგადოებასთან, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტის საახალწლო მილოცვით დაიწყო და პრეზიდენტი შეეხო ამ საკითხებს და მან თქვა, რომ გადასახედია და სამუშაოა იმაზე, რომ ცილისწამების შესახებ არსებული გამოწვევები დაიძლიოს.

შემდეგ იყო პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარიც, რომელიც კიდევ უფრო შორს წავიდა და თქვა, რომ გზავნილი, რომელიც პატრიარქისგან მიიღო, გარკვეული მესიჯი იქნება ხელისუფლებისთვის, რომ ამ საკითხზე მუშაობას მიუბრუნდეს.

რაზეა საუბარი?! ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. გვაქვს ძალიან კარგი კონსტიტუციური სტანდარტი, რომელიც ძალიან გონივრულ ბალანსს პოულობს, ერთი მხრივ, სიტყვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, ადამიანის პატივსა და ღირსებას შორის. ამ ბალანსის დაცვის მექანიზმებსაც გვთავაზობს.

2004 წლიდან დიდი ბრძოლის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ გავაუქმეთ ცილისწამებისთვის დასჯადობა, რომელსაც ყოველთვის ბოროტად იყენებდნენ საკუთარ ხელში სხვადასხვა სახელმწიფო ავტორიტეტები, იქნებოდა სახელმწიფო, მინისტრები, სხვადასხვა თანამდებობის პირები, განსაკუთრებით კი საგამოძიებო ჟურნალისტების და კრიტიკულად განწყობილი ადამიანების მიმართ.

თუ საუბარია მიდგომებზე, ეს არის წარსულში დაბრუნება. წარსულში, რომელსაც 15 წლის წინ თავი დავაღწიეთ. ამიტომ ეს არ უნდა დავუშვათ.

***– როდესაც ასეთი უმაღლესი თანამდებობის პირები საუბრობენ ამაზე, როგორიც პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარეა, მით უმეტეს ირაკლი კობახიძე თავადაც კონსტიტუციონალისტია და იცის ეს საკითხები, ეს რაზე მიანიშნებს?***



– გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ირაკლი კობახიძე საბოლოო ჯამში აღმოჩნდა კონსტიტუციურ სამართალში თეორიის მცოდნე და არა – კონსტიტუციური ღირებულებების ერთგული, რასაც მისი ყოველდღიური საქმიანობით ვხედავთ, ეს იქნება დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან თუ მის მომიჯნავე საკითხებთან, მაგალითად, როგორიცაა სასამართლო, რომელზეც ყველანი ასეთ პრობლემატურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. უზენაეს სასამართლოში ყველაზე ურეიტინგო და არასანდო ადამიანების ამწესებენ უვადოდ.

***– თუმცა თეორიულადაც ყველა განვითარებულ ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლება მეტნაკლებად დაცულია.***

– სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სტანდარტებია. ზოგადი ევროპული სტანდარტი დაახლოებით იგივეა, როგორიც ჩვენთან არის. საუბარი იმაზე, რომ ცილისწამებაზე დასჯადობა უნდა დავაბრუნოთ, დამახასიათებელია ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოებისათვის.

აბსოლუტურად არასწორ პარალელებს ავლებენ, ამბობენ, რომ ბევრ ქვეყანაში სიძულვილის ენა დასჯადია. ეს ასეა, მაგრამ სიძულვილის ენის დეფინიციაა განსხვავებული. სიძულვილის ენა ნიშნავს ისტორიულად ჩაგრული ჯგუფების მიმართ სიძულვილის გაღვივებას. მეორე, სადაც არის სიძულვილის ენის დასჯადობა, იქ არის 70-იანი წლების შუა პერიოდამდე მიღებული კანონები და ამ ქვეყნებშიც ტენდენცია უკვე საპირისპიროა. ამაზე კი არაფერს ამბობენ.

ამიტომ, თუ ჩვენ ვამბობთ, რომ სადღაც მკრეხელობა ისჯება, კი, მკრეხელობა ისჯებოდა ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანაში ევროპის კონტინენტზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რადგანაც სადღაც მკრეხელობა ისჯებოდა, ამიტომ ჩვენ მკრეხელობის დასჯადობის მუხლი უნდა შემოვიღოთ. ეს არ არის სწორი ტენდენცია.

სამწუხაროდ, ჩვენ რასაც ვისმენთ პოლიტიკოსებისგან, ეს წარსულში დაბრუნებაა.

***– ხელისუფლების ამ სახიფათო გზავნილს რა შეიძლება დაუპირისპიროს საზოგადოებამ და სამოქალაქო სექტორმა, რათა ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგან?***

– სისტემატური ბრძოლა გვიწევს, რომ გამოხატვის თავისუფლების სტანდარტები არ გაუარესდეს ქვეყანაში. წელიწადში ერთხელ გამოდის სხვადასხვა ინიციატივით ხელისუფლება, რომლის მიზანიც სწორედ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არსებული ნორმების შეზღუდვაა. ზოგიერთ შემთხვევაში ახერხებს გარკვეულ წარმატებას, ზოგიერთ შემთხვევაში ვახერხებთ, რომ ეს არ განხორციელდეს. სამწუხაროა, რომ ხელისუფლება ამ გზაზეა.

მაგალითად, საბოლოოდ მაინც მიიღეს შუღლის გაღვივების შესახებ კანონი. ასევე შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონში შეიტანეს ცვლილებები და გაუარესდა მანამდე არსებული სტანდარტი. ეს ცვლილებები ახლახან ამოქმედდა. გაცილებით მეტ ადამიანს აღარ აქვს საქართველოში შეკრებისა და მანიფესტაციაში მონაწილეობის უფლება, ვიდრე ეს მანამდე იყო.

ხელისუფლება ღალატობს მთავარ ფუნდამენტურ პრინციპს – ეს არის გამოხატვის თავისუფლება. ამით ვართ ზუსტად გამორჩეული რეგიონში, რომ ჩვენთან გამოხატვის თავისუფლება უკეთესად დაცულია, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. ხელისუფლება ცდილობს ამის მორყევას.

***– მედიის თავისუფლებისთვისაც სახიფათო გზავნილია ეს და როგორ შეიძლება, აისახოს მის საქმიანობაზე?***

– როდესაც საუბარია ცილისწამების დასჯადობის შემოღებაზე, ეს რას ნიშნავს?! ეს არის მსუსხავი ეფექტის მქონე. ჟურნალისტმა ან კრიტიკულად განწყობილმა ადამიანებმა საკუთარი სიტყვა უნდა მოზომონ და გაზომონ. მათ ფრთხილად უნდა ისაუბრონ, რათა ხვალ ისინი მსხვერპლნი არ აღმოჩნდნენ სამართალდამცავი ორგანოების ხელში.

ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ ცილისწამების დასჯადობაზე, ეს თუკი ვინმეს პრობლემას შეუქმნის, პირველ რიგში მედიაა. როდესაც ჟურნალისტებს ექნებათ პრობლემა, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ – საზოგადოებასაც აღარ გვექნება უფლება, მივიღოთ ისე, როგორც ეს ჟურნალისტს უნდა მოგვაწოდოს, არამედ მივიღოთ შელამაზებული ინფორმაცია, რათა ჟურნალისტმა თავი შედარებით მშვიდად იგრძნოს.

# „ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს, „ოცნების“ რომელ ფრთას დაუჭერს მხარს“

## რამაზ საყვარელიძე: „დაშლა არ არის დიდი პრობლემა. მასეთი დაშლილი ბევრი გვინახავს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

***– ბატონო რამაზ, მმართველ გუნდში დაპირისპირებაა ძველ და ახალ გვარდიას შორის. რატომღაც დუმს პირველი პირი. რას უცდის ივანიშვილი, რომელი ფრთა გაიმარჯვებს? როგორ ხსნით მის დუმილს და ვის მხარეს დაიჭერს ის?***

– სერიოზული პროცესები ხდება უდავოდ. რამდენადაც ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, მეტ-ნაკლებად არის დაფუძნებული იმ პარტიაზე, რომლის სადავეც ამ ადამიანებს უპყრია, თუ ასეთი პარტია შიგნიდან დაიწყებს რღვევას, ეს უკვე ქვეყნის პოლიტიკურ ღალატსაც ნიშნავს.

ივანიშვილის დუმილი არა მგონია, მოულოდნელი იყოს. ამხელა პაუზა მისთვის არ არის უცხო ხილი. არ ჩქარობს ხოლმე ის თავისი პოზიციის დაფიქსირებას. ის ელოდება უფრო პროცესების დაწმენდას. მე მეჩვენება, რომ მას გადაწყვეტილება მიღებული აქვს. ოღონდ არ ვიცი, ეს გადაწყვეტილება რამდენად არის გათვლილი.

***– ბესელიასთან დაპირისპირებული ჯგუფის მხარესაა?***

– ეს მკაფიოდ არ იკითხება ჯერ მოვლენებში. მე მგონი, თვითონ ივანიშვილსაც არა აქვს ჯერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რომელი მიმართულება იქნება უფრო უკეთესი მოცემული მომენტისთვის.

***– მოვისმინეთ ბესელიას ულტიმატუმი თანაგუნდელების მიმართ. მხოლოდ ზედაპირზე ხომ არ ჩანს მოსამართლეების თემა და სიღრმეში სულ სხვა პროცესები ხომ არ არის ამ დაპირისპირების მიზეზი?***

– ბევრი წყალქვეშა დინება აქვს ამ პროცესს, რომლის ზედაპირზე ამოტანა ალბათ უკეთესი იქნება იმისთვის, რომ მოსახლეობას ჰქონდეს ჩამოყალიბებული აზრი და შეხედულება იმის შესახებ, რა ხდება ქვეყანაში.

***– თქვენ რას ფიქრობთ მოსამართლეთა იმ სიაზე, რომელმაც ეს სკანდალი და დაპირისპირება გამოიწვია გუნდში?***

– სიაზე ყველას მარტივი ლოგიკით აქვს რეაქცია და მათ შორის მეც. ადამიანებს, რომლებმაც ძალით თუ უნებლიეთ, ზეწოლით თუ თავისი ნებით შეცდომები დაუშვეს თავიანთ საქმიანობაში, არ უნდა ჰქონდეთ პრივილეგიები სხვა პროფესიონალებთან შედარებით, პირიქით.

თუმცა, ეს რომ მკაფიოდ ითქვას, ასევე მკაფიოდ ჩამოსაყალიბებელია ღიად შეფასება სასამართლო სისტემისა იმ პერიოდის, როცა გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და სხვათა საქმეები განიხილებოდა სასამართლოში. ღიად უნდა ითქვას, იყო თუ არა გადაცდომა, თუ იყო, ამას უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება, თუ არ იყო, მაშინ ჩვენ, საქმეში ჩაუხედავები დავრწმუნდებით, რომ მოსამართლეთა ეს სია მართლზომიერია.

თუ ასეთი დარწმუნება ჩვენ არ გვექნება, მოქალაქეებს, ეს ყოველთვის გამოიწვევს საზოგადოებაში უკმაყოფილებას, რომ იმ დანაშაულებათა გამმართლებელი ადამიანები დღეს მოსამართლეებად დგებიან.

***– ბატონო რამაზ, თქვენ აღნიშნეთ, რომ მკაფიო არ არის ივანიშვილის პოზიცია, თუმცა საზოგადოების დიდ ნაწილს რჩება შთაბეჭდილება, რომ მისთვის ეს სია მისაღებია და რომ მან მისცა თანხმობა, გავიდეს ეს სია პარლამენტში. ამაზე რას იტყვით?***

– კი, ვნახე შეფასებებში ასეთი აზრი. არ გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ თავის დროზე მურუსიძის თემასაც მან აუნთო მწვანე შუქი. შეიძლება ის აქაც რაღაც მოსაზრებით ხელმძღვანელობს, ოღონდ რა მოსაზრებით, ეს თუ არ გაიშიფრა, ძნელია თქმა.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ანალოგიური მოვლენები არ იყო იშვიათობა. მაგალითად, ნაპოლეონმა ფუშე აიყვანა სამსახურში, რომელსაც უკავშირდებოდა წინა ხელისუფლების საპოლიციო რეჟიმი. ფუშემაც დიდი სიამოვნებით უღალატა არარეალისტებს, მერე ნაპოლეონსაც უღალატა და ასე შემდეგ.

***– ანუ, თუ ღალატობს ერთს, მარტივად უღალატებს მეორესაც.***

– კი, მაგრამ ასეთი პრინციპებით მოქმედება პოლიტიკისთვის უცხო არ არის. არც ის არის უცხო, რომ გამოსდგომოდეს წინა ფიგურა მომავალ ხელისუფლებებს, მაგრამ, ვიმეორებ, სასურ-



ველია, ამ ყველაფერს მიეცეს ჩამოყალიბებული, გაშიფრული სახე და არ იყოს აგებული ჩვენს ვარაუდებზე.

***– სწორედ ეს მოლოდინია საზოგადოებაშიც, ყველა ელის, რას იტყვის ივანიშვილი. გააჭიანურებს ამ ლოდინის პროცესს?***

– თვითონ პროცესში სანამ არ გამოიკვეთება რაღაც ტენდენცია, იქამდე ის არ ჩაერთვება. ჩვენ ვნახეთ, რომ ასეთ ტენდენციას ის დაელოდა რაღაც საკითხებში. დავუშვათ მარიხუანის საკითხში. ვნახეთ ისიც, რომ ის კი არ ეთანხმებოდა, მაგრამ საზოგადოებაში არსებულ პროცესს გაუწია ანგარიში და დაიხია უკან.

ანალოგიურად, აქაც არ არის გამორიცხული, რომ მას სუბიექტურად სხვა მოსაზრებები ჰქონდეს, მაგრამ ელოდოს იმის გარკვევას, ამ სიტუაციაში მისი მხრიდან უკანდახევა აჯობებს თუ გაგრძელება ამ ხაზის. მით უმეტეს, ისიც არ ვიცით, რომელ ხაზს ლობირებს თვითონ ივანიშვილი.

***– ამ ლოდინის პროცესში რამდენად არის მოსალოდნელი, რომ გუნდის შიგნით კიდევ უფრო გაღრმავდეს და გამწვავდეს პროცესი? შესაძლოა საერთოდ დაიშალოს პარტია?***

– დაშლა არ არის დიდი პრობლემა. მასეთი დაშლილები ბევრი გვინახავს. ოღონდ მერე პრობლემა არის ხოლმე, ეს ნაწილი სად მიდის. თავის დროზე მოქალაქეთა კავშირი დაიშალა, გამოეყო სააკაშვილ-ჟვანია-ბურჯანაძის ჯგუფი და მერე ამ ჯგუფმა რევოლუცია მოაწყო.

***– ამ შემთხვევაშიც გაჩნდა მოსაზრება, ხომ არ მიდის მიზანმიმართული პროცესი, მზადება 2020 წლისთვის და ივანიშვილი თავადვე ხომ არ უწყობს ხელს, რომ გუნდის შიგნით წარმოიქმნას ოპოზიცია, რომელსაც თავად გააკონტროლებს.***

– რა გითხრათ, ივანიშვილი ისე ხშირად აკეთებს მრავალსვლიან კომბინაციებს, რომ არ არის გამორიცხული, რომ მის კონტროლს დაექვემდებაროს ახალი ჯგუფები.

***– ანუ არ გამორიცხავთ, რომ შეიქმნას შიგნით ოპოზიციური ფრთა?***

– გამორიცხვით ნამდვილად არ გამოვრიცხავ. იგრძნობა კიდეც, რომ ივანიშვილი თავის თავს ორივე ფრთაზე მაღლა აყენებს, რახან დაბრუნებისას განაცხადა, პარტიაში უნდა მოვაწესრიგო მდგომარეობა და მაგიტომ დავბრუნდიო.

მას რომ რომელიმე ფრთის იმედი ჰქონოდა, მაშინ უზრუნველყოფდა ამავე ფრთის საშუალებით პარტიის შენარჩუნებას. რახან ეს ვერ მოახერხა, ე.ი. თავის თავს არ უიგივებს რომელიმე მათგანს. მე მგონი, არც ის გადაუწყვეტია, რა მიმართულებით წაიყვანს პროცესს.

***– ანუ, უნდა ველოდოთ ახალ პროცესებს 2020-ისთვის? ყველა თანხმდება იმაზე, რომ „ოცნება“ ამ სახით წარმატებას ვეღარ მიაღწევს. ასეა?***

– ვერ ვიტყვი, რომ ვერ მიაღწევს წარმატებას, რადგან წარმატება დამოკიდებულია ხოლმე კონკურენტზე. თუკი მარტო მირბის მორბენალი და მას არ ჰყავს კონკურენტი, რომელიც გადაუსწრებს, ის აუცილებლად წარმატებული იქნება. ამიტომ გააჩნია, რა პროცესი იქნება 2020-ისთვის, რა ძალა მომწიფდება „ოცნების“ კონკურენტად.

სახეცვლილებას არ გამოვრიცხავ. პროცესებიც ისე ვითარდება, რომ ამგვარი სახეცვლილებები იქნება. ამ ჯგუფს თავისი შინაგანი დინამიკა აქვს. ის აღარ არის დუნე, პასიური ორკესტრი ვინმეს ხელში.

# საქართველოში საწვავის ფასი მთელი წლის განმავლობაში არარეალური იყო

მსოფლიოში ნავთობის გაიაფების შემდეგ ქართველი ნავთობიმპორტიორები მაინც კოლოსალურ მოგებაზე გადიან, – წერს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცეპრეზიდენტი პაატა ბაირახტარი ბანკებსა და ფინანსებში.

მსოფლიოში ნავთობზე ფასები მკვეთრად ეცემა. 3 თვეზე მეტია ბირჟებზე ნავთობის ფასს დაღმავალი ტრენდი უჭირავს და 3-თვიან მონაკვეთში ფასი საშუალოდ 39%-ით შემცირდა. კერძოდ, სექტემბრის თვეში ერთი ბარელი ჭთI-ის ტიპის ნავთობის ღირებულება 76 დოლარს აღწევდა, დღეს კი იმავე ტიპის ერთი ბარელი ნავთობი 50 დოლარად ივაჭრება. მსოფლიოში ნავთობზე ფასის ვარდნა, არაერთ ფაქტორს უკავშირდება, რომელიც მოვლენათა ერთ მთლიან ჯაჭვს ქმნიან, თუმცა ყურადღება იმ მთავარ ფაქტორებზე გავამახვილოთ, რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, ნავთობის ფასის ფორმირებაზე. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ირანის ფაქტორი. სწორედ ირანისთვის დაწესებული სანქციების დაანონსებამ გამოიწვია ბაზარზე ფასების მოკლევადიანი მატება იმდენად, რამდენადაც ირანი ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია შეიქმნა მოლოდინი, რომ ირანის ექსპორტის გარეშე ბაზარზე შეიქმნებოდა ნავთობის დეფიციტი და ეს, თავის მხრივ, გაზრდიდა მოთხოვნას.

თუმცა, ამის პარალელურად, აშშ-მ (ნავთობის უმსხვილესი მომპოვებელი – ქვეყანაში ნავთობის მოპოვება ოქტომბრის მონაცემებით დღეში 11.4 მლნ. ბარელს შეადგენს) ერთი მხრივ, გაზარდა მოპოვება, ხოლო მეორე მხრივ, გახსნა მარაგები ბაზარზე მოსალოდნელი დეფიციტის შესავსებად. ნავთობის ფასზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ე.წ. ფსიქოლოგიური ფაქტორები სწორედ ასეთი აღმოჩნდა აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის განცხადება, რომელიც მან „ტვიტე-



რის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ტრამპი წერდა, რომ ნავთობის ფასი ძალიან მაღალი იყო და აშშ ყველაფერს გააკეთებდა მის შესამცირებლად. ამავე პერიოდში ირანის ფაქტორის მოსალოდნელი განეიტრალებით ისარგებლა რუსეთმაც, რომელმაც ასევე გაზარდა საკუთარი მოპოვება. აღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი დეფიციტის ნაცვლად ბაზარს ჭარბი ნავთობის მიეწოდა, რამაც ფასის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. ნავთობზე ფასების დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებას ხელს უწყობს ევროპული ქვეყნების პოზიციაც, რომლის მიხედვითაც ისინი ვერ იტყვიან ირანულ ნავთობზე უარს.

ყველაზე საინტერესოა მსოფლიო პროცესების პარალელურად რა ხდება ქართულ საწვავის ბაზარზე. საქართველოში საწვავზე ფასების მატება პირველი კვარტლის შემდეგ დაიწყო და საერთო ჯამში ფასები ზრდის მიმართულებით 9-ჯერ დაკორექტირდა. თუმცა, მეტად საგულისხმოა, თუ რამდენად ემთხვეოდა ჩვენთან საწვავის გაძვირება ადგილობრივ ეკონომიკურ თუ გლობალურ პროცესებს. მართალია, მსოფლიოში ნავთობის ფასები მნიშვნელოვნად მცირდება 4 თვეზე მეტია, მაგრამ ეს ჩვენს ბაზარზე პრაქტიკულად არ ასახულა, თუ არ ჩავთვლით 5-10 თეთრიან ფასების შემცირებას, რომელიც ბოლო კვირებში დაფიქსირდა. თუმცა, მოდით შორიდან დავიწყოთ და ქრონოლოგიურად გავყვეთ იმ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობდა საწვავის ბაზარზე.

საწვავზე ფასების ზრდა საქართველოში მაისის თვეში დაიწყო, ამის მიზეზად კი მსოფლიო ბაზრებზე ნედლი ნავთობის გაძვირება დასახელდა. ამ მომენტისათვის მართლაც ფიქსირდებოდა ნავთობზე ფასების მცირედი მატება. უფრო კონკრეტულად კი, ამ პერიოდში ნედლიWTI ტიპის ნავთობზე ფასი 3 დოლარით გაიზარდა, კომპანიებისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფასები საცალო ქსელში დაუყოვნებლივ დაკორექტირებულიყო და საცალო ქსელში ფასები, მყისიერად გაიზარდა 3-5 თეთრით. მაგრამ, ადგილობრივ ბაზარსა და მსოფლიო ტენდენციებს შორის კიდევ მრავალი და უფრო მასშტაბური შეუსაბამობებიც ფიქსირდება, თუ უფრო სიღრმისეულად ჩავშლით მონაცემებს დავინახავთ, რომ თებერვლის თვეში ბარელის ფასი 59-61 დოლარის ფარგლებში მერყეობდა, ამ პერიოდში საქართველოში ერთი ლიტრი პრემიუმის (95 ოქტ) შეძენა 2.29 ლარად იყო შესაძლებელი, ანუ იმაზე ძვირი ღირდა, ვიდრე მაისის თვეში, როდესაც ბარელი 70 დოლარზე იყო ასული. ამის შემდეგ, ანუ მაისიდან ივნისამდე, ნავთობზე და, შესაბამისად, პლაცსზე ფასების მატება გაგრძელდა, რაც კიდევ რამდენჯერმე გახდა საქართველოში საწვავის გაძვირების მიზეზი. მაგრამ როდესაც მაისის მეორე ნახევრიდან, ივნისის მეორე ნახევრამდე, ანუ ზუსტად ერთი თვის განმავლობაში ნავთობზე ჩვენ გვქონდა ფასზე მკვეთრად დაღმავალი ტრენდი და ბარელის ფასი 64 დოლარამდეც კი დაეცა ეს ცვლილება, უკვე დადებითად არ ასახულა ადგილობრივ ბაზარზე, მეტიც მსოფლიო ბაზარზე დაღმავალი ტრენდის პარალელურად, ჩვენთან საწვავზე ფასები გაიზარდა კიდეც 3-5 თეთრით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ 3-თვიან მონაკვეთში, სტაბილურობით ხასიათდებოდა ეროვნული ვალუტის კურსიც და ერთი დოლარის შეძენა საშუალოდ 2.44-2.45 ფარგლებში იყო შესაძლებელი. რაც შეეხება აგვისტოს მდგომარეობას, აგვისტოს პირველ ნახევარში საწვავზე ფასები საქართველოში 2 ჯერ დაკორექტირდა ზრდის მიმართულებით. საწვავის, აღნიშნულ გაძვირებას პრაქტიკულად არანაირი ეკონომიკური ახსნა არ გააჩნია იმდენად, რამდენადაც ივლისის ბოლოდან, აგვისტოს მეორე ნახევრამდე, ნედლი ნავთობის ფასი 4 დოლარით იყო შემცირებული და მაშინდელი მდგომარეობით, ჭთI-ის ტიპის ნავთობის ფასი თითქმის 66 დოლარამდე იყო დაცემული. მსოფლიო ბირჟებზე ფასების მკვეთრი ვარდნა უკვე, თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა, რამაც ასახვა ჰპოვა იმხანად პლაცსის ფასზეც, თუმცა ამის მიუხედავად ადგილობრივ ბაზარზე ფასები გაიზარდა და ამის მიზეზად ეროვნული ვალუტის გაუფასურება დასახელდა. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ზუსტად ამავე პერიოდში ერთი კვირის ინტერვალში, ეროვნული ვალუტა 15 პუნქტით გაუფასურდა, მაგრამ ასე მყისიერად ეროვნული ვალუტის ცვლილებით, საწვავის ფასი ცვლილება თითქმის შეუძლებელია და არ ემორჩილება არანაირ ეკონომიკურ პრინციპებს, რომ არაფერი ვთქვათ 2-კვირიან მონაკვეთზე, რომელშიც ნავთობის ფასი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული და დაღმასვლის პროცესმა სექტემბრის დასაწყისამდე გასტანა.

სექტემბრის მეორე ნახევრიდან, ბირჟებზე ნავთობის გაძვირების პროცესი დაიწყო და ამ პროცესმა, ოქტომბრის დასაწყისამდე გასტანა. სწორედ ამ პერიოდში დაფიქსირდა წლის განმავლობაში, ყველაზე მაღალი ფასი ნავთობზე და მან ჭთI-ის ტიპის ნავთობზე 76 დოლარს გადააჭარბა. ამ პერიოდში ადგილობრივ ბაზარზე ფასები კიდევ 2 ჯერ გაიზარდა საწვავზე რასაც ლარი/დოლარის კურსის ცვლილებამაც შეუწყო ხელი, ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტა 3 პუნქტით გაუფასურდა დოლართან მიმართებაში. დასაწყისში ხსენებულ მიზეზთა გამო, ოქტომბრიდან ბირჟებზე ნავთობის, მკვეთრი გაიაფება იწყება. ოქტომბრიდან დღემდე ბარელის ფასი საშუალოდ 39%-ით

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# დავით ლორთქიფანიძე: „მოსამართლეების ეს სია არ უნდა გავიდეს“



## „ივანიშვილი შეცდომაში შეიყვანეს, როცა მან მურუსიძეს სააკაშვილის სისტემის მსხვერპლი უწოდა“

გულიკო ბალაძე

**მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, პარლამენტში ციებ-ცხელებაა სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური კრიზისი ხომ არ მწიფდება?***

– ის მოცემულობა, რომელიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შექმნა, კარგი არ არის, ქართული სახელმწიფოსთვის ძალიან საშიში ტენდენციაა. მათ საფუძველი ჩაუყარეს იმ ბოროტებების გამართლებას, რომლებსაც სააკაშვილის რეჟიმი წლების განმავლობაში ჩადიოდა.

ერთ-ერთ მოსამართლეს, გვრიტიშვილს, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოშია, როგორც მოსამართლე წევრი და უვადოდ დანიშვნა ეზმანება, როცა ჰკითხეს, იყო თუ არა პროკურატურისაგან ზეწოლაო, მან უპასუხა, რომ ვერ იხსენებს, მასზე რაიმე ზეწოლა ყოფილიყოს.

***– გამოდის, საკუთარი ნებით ემსახურებოდა რეჟიმს.***

– არა. აქ ორი მოცემულობაა, ან არ უნდა, რომ ახსოვდეს, ან მასზე ზეწოლა არ ყოფილა, ის დავალების უპირობო შემსრულებელი იყო. როდესაც ადამიანი ამა თუ იმ დავალებას არ ასრულებს, მასზე ახორციელებენ ზეწოლას. თვითონ აღიარა, რომ მასზე ზეწოლა არ ყოფილა. ე.ი. უპირობო შემსრულებელი იყო. ასეთი ადამიანების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად წარდგენა, იგივე სააპელაციო სასამართლოში მურუსიძის წარდგენა მოსამართლედ საზოგადოებაში სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

***– რატომ ვერ გაჯანსაღდა სასამართლო ხელისუფლება? რატომ ვერ მოხერხდა იმ მოსამართლეების სასამართლო ხელისუფლებიდან გაყვანა, რომლებიც აშკარად იყვნენ ჩართული სააკაშვილის რეჟიმის მსახურებაში?***

– როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში 2012 წელს, გაცხადებულად ვიყავით მომხრე, რომ არ მომხდარიყო სასამართლო სისტემაში ჩარევა. როგორც ჩანს, ხელისუფლების კეთილმა ნებამ შედეგი ვერ გამოიღო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს ადამიანები თავს გრძნობდნენ სასათბურე პირობებში. ახლა მოინდომეს, დროებითი სასათბურე პირობებიდან გადავიდნენ მუდმივად სასათბურე პირობებში და გახდნენ უვადო მოსამართლეები. ეს საზოგადოებაზე დადებითად არ მოქმედებს.

***– რატომ განხორციელდა ისეთი სასამართლო რეფორმა, რომელიც ამ მოსამართლეების უვადო მოსამართლეებად დანიშვნას ხელს უწყობდა? ეს რეფორმა ხომ იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა თქვენი ხელისუფლების დროს, თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით?***

– მხოლოდ თეა წულუკიანს ნუ დავაბრალებთ. ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის წინა და ახლანდელ იურიდიულ კომიტეტებს აქვთ პასუხები გასაცემი. საუბარია ვახტანგ ხმალაძესა და ეკა ბესელიაზე. ისინი უფრო გაგცემენ პასუხს. მე არ ვარ იურისტი, პირდაპირ არ ვიყავი ჩართული, თუმცა, როგორც პოლიტიკოსს, არ მომწონდა სასამართლო სისტემა და არც ახლა მომწონს.

მართალია, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა ერთიათად არის გაზრდილი, პოზიტიური ძვრები არის, მაგრამ კეთილსინდისიერი მოსამართლეების ხარჯზე, რომლებიც წინა რეჟიმის დროსაც იყვნენ.

ის მოსამართლეები, რომლებიც უპირობო შემსრულებლები იყვნენ წინა რეჟიმის დროს, დღესაც არიან ნეგატივში. კეთილსინდისიერი მოსამართლეები რომ არა, სრული კოლაფსი იქნებოდა. ისინი უნდა იქნენ წახალისებული.

მნიშვნელოვანია, მოხდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაკეთილშობილება.

***– რა ფორმით უნდა მოხდეს?***

– ეს იურიდიული ტექნიკის საქმეა, მაგრამ, გაკეთილშობილება რომ არის აუცილებელი, ორი აზრი არ არსებობს. მე პარლამენტის ტრიბუნიდან დავგმე სასამართლოს მურუსიზაცია საქართველოს სასამართლო სისტემაში და ჩემი ნეგატიური პოზიცია დავადასტურე ამ ფენომენთან დაკავშირებით.

ჩემი მეორე, ძალიან სერიოზული გალაშქრება მურუსიძისა და მურუსიზაციის წინააღმდეგ იყო მაშინ, როდესაც ჩემი მეგობარი სულხან მოლაშვილი გარდაიცვალა, ჩამოასვენეს და აეროპორტში დავხვდი. მაშინ გავაკეთე განცხადება.

***– რატომ უწოდა ბიძინა ივანიშვილმა მურუსიძესა და მის მსგავს მოსამართლეებს სისტემის მსხვერპლი? მან მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ უწოდა სააკაშვილის მოსამართლეებს სისტემის მსხვერპლნი თუ ვინმემ გავლენა მოახდინა?***

– არ გამოვრიცხავ, ბატონი ბიძინა ვილაც ადამიანებისაგან იყოს შეცდომაში შეყვანილი – მას ურჩიეს, რომ მოსამართლეებთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გაეკეთებინა. მაშინ აბსოლუტურად სხვა მოცემულობა იყო. შიდა სამზარეულოში რა ხდება, არ ვიცი და ვერ გეტყვით, რატომ გააკეთა ბატონმა ბიძინამ ეს განცხადება, მაგრამ, შეიძლება, სისტემის დაშლას, აღრევას მოერიდა. ალბათ, იფიქრა, დროთა განმავლობაში სისტემა დალაგდებოდა. თუ კარგი მენეჯმენტი იქნებოდა, შეიძლებოდა, ეს ბოროტება განეიტრალებულიყო.

***– გაჯანსაღების ნაცვლად, ფაქტობრივად, მურუსიძეები უვადოდ დაინიშნნენ და უზენაეს სასამართლოშიც მოუნდათ გამწესება.***

– ამას ვამბობ. არა მგონია, სირაქლემის პოზაში ყოფნა ჩვენთვის მომგებიანი იყოს. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ რაღაცები ისე სწრაფად ვერ გავაკეთეთ, როგორც უნდა გაგვეკეთებინა. ნაბიჯები გადავდგით, სწორი სვლა დავიწყეთ, მაგრამ ტემპი არ იყო. ამიტომ დღეს „ქართულ ოცნებაში“ და, ზოგადად, ხელისუფლებაში კიდევ არსებობს ძალიან დიდი რესურსი იმისა, რომ ეს პროცესები აბსოლუტურ კონტროლქვეშ მოექცეს.

***– რას გულისხმობთ?***

– სწორი, მიზანმიმართული, საკანონმდებლო ინიციატივები შევიდეს პარლამენტში. დეპუტატები შეიტანენ კანონპროექტს, მთავრობა თუ უშუალოდ იურიდიული კომიტეტი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ამის რესურსი არსებობს.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას? თქვენ რაიმეს ატყობთ პარლამენტის უმრავლესობას, იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის შეცვლის მზაობა რომ გააჩნდეს?***

– იმ გუნდს, რომელიც 2007 წლიდან მოყოლებული ვიყავით ქართული სახელმწიფოს სადარაჯოზე, რომელსაც 2011 წელს ბატონი ბიძინა ჩაგვიდგა სათავეში და 2012 წელს მოვიპოვეთ გამარჯვება, ბეჭებზე დავსვით ნაცმოძრაობა, ყველანაირი რესურსი გააჩნია, დღევანდელი მოცემულობა უკეთესობისკენ შეაბრუნოს.

ამ ჯგუფში მათთან ერთად ძალიან ბევრ ახალგაზრდას, ბევრ ახალ სახეს მოვიაზრებ. ვსაუბრობ იმ ჯგუფზე, რომლისთვისაც სამშობლო და მისი მსახურება მთავარია. ასეთია დღევანდელი პარლამენტის უმრავლესობის აბსოლუტური უმრავლესობა. მე ამას ვხედავ. ზოგს, შეიძლება, არ უნდა, ეს დაინახოს.

***– პარლამენტში კრიზისი არ არის და განხეთქილების ვაშლად სასამართლო ხელისუფლება არ იქცა?***

– კრიზისი არ არის, ოჯახშიც შეიძლება, გამოერიოს ადამიანი, რომელიც ტრადიციებს არ იზიარებდეს. რა გასაკვირია, 115 კაცში აზრთა სხვადასხვაობა რომ იყოს. პერსონიფიცირებისაგან თავს შევიკავებ.

თუ ჩვენ არ ვიმოქმედებთ ისე, როგორიც არის ქართველი ხალხის დაკვეთა, არ მგონია, საზოგადოებამ გაგვიტაროს ის, რასაც ებრძოდნენ ათწლეულების განმავლობაში. ამიტომ ჩვენ გვჭირდება გეგმების სერიოზული გადაფასება. ის გეზი, რომელიც 2011 წელს დავისახეთ, კარგად ავწონდავწონოთ, სხვა შემართებით, მაღალი ტემპითა და უფრო მეტი პასუხისმგებლობით ვიმოქმედოთ.

ბატონ ბიძინას ვეთანხმები იმაში, რომ მას სჭირდება ერთი წელი, რომ ყველაფერი სასიკეთოდ შეცვალოს. საქართველოს ეყოლება ხელისუფლება, რომელიც იქნება ხალხის ხელისუფლება.

***– საზოგადოებაში არის მზაობა, მხარში დაუდგნენ იმ ჯგუფს, რომელიც ეწინააღმდეგება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მისი სიით უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას. ეს ბატონმა კობახიძემ, საერთოდ, ხელისუფლებამ არ იცის?***

– პერსონიფიცირება არ მინდა. თქვენ ასახელებთ ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები არიან, რომლებსაც წვდომა აქვთ სახელმწიფო სამსახურებთან. ამიტომ უნდა იცოდნენ, რა განწყობებია საზოგადოებაში.

როცა მიხეილ სააკაშვილი თავის ბანდასთან ერთად თეთრ ცხენზე ამხედრებული ყველაფერს კადრულობდა, ციხეები გავსებული ჰქონდა, მკვლელობებს ჩადიოდნენ, აშანტაჟებდნენ, ბიზნესს ართმევდნენ, ასახიჩრებდნენ, აუპატიურებდნენ, მაშინ არ დაუხევია უკან ქართველ შეგნებულ საზოგადოებას, მის წინააღმდეგ გამოვდიოდით 2004 წლიდან მოყოლებული.

დღეს საზოგადოების ქუჩაში გამოსვლისა და პოზიციის დაფიქსირების პრობლემა არ არის. ამიტომ ჩვენ გვმართებს ძალიან დიდი სიფრთხილე. საზოგადოების დაკვეთა უნდა გავითვალისწინოთ. თუ ჩვენი საზოგადოების დაკვეთას არ გავითვალისწინებთ, ნათქვამია, რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო. ჩვენ ამ მოცემულობამდე არ უნდა მივიდეთ.

***– 2013 წელს განაცხადეთ, რომ მურუსიზაცია თქვენთვის მიუღებელი იყო. ახლაც იგივე პოზიცია გაგაჩნიათ, ამბობთ, რომ სირაქლემის პოზაში ყოფნა არ გიყვართ. ამის გამო ხომ იყო, რომ თქვენ 2016 წლის პარლამენტის სიაში არ ჩაგსვეს და არც იმერეთის გუბერნატორად გაგიშვეს?***

– არ არსებობს კვამლი უცეცხლოდ. ეტყობა, რაღაც-რაღაცებმა გავლენა იქონია, მაგრამ პოლიტიკოსის მთავარი ფასეულობაა წლების შემდეგ მისი პოზიციის შეფასება. ვერ ვიხსენებ ვერც ერთ პოზიციას, რომელიც დავაფიქსირე საჯაროდ, ფრაქციის დახურულ შეხვედრებზე თუ უმრავლესობის შიგნით და არ ყოფილიყოს აბსოლუტურად თავსებადი ჭეშმარიტებასთან.

თუ რაღაც მოცემულობაში ამან მე დამაზარალა, არა უშავს. ამით ცხოვრება არ მთავრდება. მე არასოდეს ოჯახის კეთილდღეობისთვის არ მიზრუნია. ჩემი განცხადებებით ყოველთვის ვფიქრობ, სახელმწიფოს გამოვადგე. მთავარია, ჩემი სამშობლოს წინაშე ვიყო მართალი, ვიდრე ვიცულლუტო.

***– რაღაც მომენტში სასამართლო ხელისუფლება შეეცადა, შანტაჟი მოეწყო თქვენი ხელისუფლებისთვის. შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ სასამართლოში გაფიცვას მოაწყობდნენ.***

– დიახ, ასეთი მომენტიც იყო. ჩემი ცნობილი განცხადების შემდეგ (მურუსიზაციის მიუღებლობის შესახებ) პირველივე პროვოკაცია და შანტაჟი სასამართლო სისტემამ მე მომიწყო.

***– როგორ?***

– 2013 წლის მაისში, ე.წ. ტრაქტორების საქმეზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელი რომ დააპატიმრეს, მაშინ მე, როგორც პოლიტიკოსი და აგრარული კომიტეტის წევრი, სასამართლოში გამოვცხადდი. ეს იყო სრულიად შოკისმომგვრელი ბევრი პოლიტიკოსისთვის. როგორ შეიძლებოდა, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი სასამართლო პროცესზე მისულიყო, როდესაც ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების საქმე განიხილებოდა.

სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ პროვოკაცია მომიწყო და დარბაზიდან მანდატურების ფიზიკური ძალის გამოყენებით უმიზეზოდ გამაძევა.

***– მოსამართლე ვინ იყო?***

– არ ვიცი, ანგარიშსწორების განწყობა არ მაქვს. რომ მქონოდა, მემახსოვრებოდა. ვიცი, რომ აფხაზეთის მოსამართლე იყო. მანდატურებმა პარლამენტის წევრი, რომელიც ხელშეუხებელია, ფიზიკური ძალის გამოყენებით შენობიდან სასამართლოს ეზოში ხელში აყვანილი გამომიყვანეს. ამით ხაზი გაუსვეს, რომ იმ ადამიანს, რომელიც მათ წინააღმდეგ განცხადებას გააკეთებს, დასჯიან.

***– ხელისუფლებამ მაშინ ამიტომ დაიხია უკან? ახლა უკანდასახევი გზა აღარ აქვს.***

– ხელისუფლებას უკანდასახევი გზა არც მაშინ ჰქონდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ეს თემა მე მეხებოდა, არ გავამწვავე. თუმცა, პარლამენტის ტრიბუნიდან გავაკეთე განცხადება, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსაც მივმართე ოფიციალური განცხადებით, მაგრამ, როგორც თქვენ არ განგიხილავთ ჩემი განცხადება, ისე – იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

ისინი თავიდანვე იყვნენ მომზადებული, ვინც მათ საწინააღმდეგოდ სიმართლეს იტყოდა, ყველას შეებრძოლებოდნენ. ახლა მოძლიერდნენ და შეტევაზე გადმოვიდნენ, მაგრამ ქართველ საზოგადოებას ვერავინ დაამარცხებს.

თუ ისინი პოლიტიკოსების შეჩერებას მოახერხებენ, ქართველ საზოგადოებას ვერ შეაჩერებენ. ეს გამორიცხულია. დედაქალაქი თბილისი და მთლიანად საქართველო მაგ ადამიანებს თავხედობას არ აპატიებს. როდესაც მოსამართლეები პარლამენტის წევრს განცხადების გამო ანგარიშს უსწორებენ, სხვას ვინმეს დაზოგავენ? არავის.

***– უმრავლესობის შესაძლო დაშლის შესახებ კეთდება უკვე განცხადებები.***

– უმრავლესობის დაშლის არანაირი საშიშროება არ არსებობს. დღევანდელ ხელისუფლებაში პარლამენტის წევრებს ეყოფათ იმის გონიერება, რომ კარგად გააცნობიერონ, თუ რა რისკებთან გვაქვს საქმე.

რისკების გაცნობიერების შემთხვევაში, ყველა ჯგუფი, რომელიც დღეს სხვა პოზიციაზეა, დათმობს პოზიციებს. ძალიან სერიოზული მიჯნაა იმისა, საზოგადოებამ რა უნდა აირჩიოს – სამართლიანი სასამართლოს შემქმნელი საზოგადოება თუ სამართლიანი სასამართლოს დამღუპველი და შემდგომ ამის გამგრძელებელი მოსამართლეები.

ეჭვი მეპარება, სააკაშვილის მოსამართლეების ხელში სამართლიანი სასამართლო იყოს. ამ შემთხვევაში ჩემს პოზიციას ვაფიქსირებ.

---

# საქართველოში საწვავის ფასი მთელი წლის განმავლობაში არარეალური იყო

დასაწყისი მე-5 გვერდზე

არის შემცირებული. ამის პარალელურად ბოლო ერთი თვის მონაკვეთში, თითქმის 7 პუნქტით გამყარდა ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში. აღნიშნული პროცესები და ვადები სავსებით საკმარისია, იმისთვის, რათა ნებისმიერმა კომპანიამ, მნიშვნელოვნად გადახედოს საკუთარ საფასო პოლიტიკას და მკვეთრად შეამციროს ფასები. თუმცა აღნიშნულ პროცესებს 5-მა ბრენდულმა კომპანიამ, მხოლოდ 7-10 თეთრიანი ფასების შემცირებით უპასუხა. ბაზარზე არსებულ არაჯანსაღ მდგომარეობას, უფრო ნათლად დავინახავთ, თუ არაბრენდირებული და ბრენდირებული კომპანიების საფასო პოლიტიკას, ერთმანეთს შევადარებთ, სხვაობა 0.51 ლარს აღწევს, რაც ერთ ლიტრზე კოლოსალური სხვაობაა. მაგრამ მეტი სიზუსტისთვის, არსებული მდგომარეობისა და მონაცემების მიხედვით თუ დავთვლით საწვავის ფასს, რომელშიც შედის ერთი ტონა საწვავის ფასი, გაზრდილი აქციზის გადასახადი, დღგ-ს გადასახადი და ლარი/დოლარის გაცვლითი კურსი. (ანუ ყველა ხარჯი, გარდა საოპერაციო და სატრანსპორტო ხარჯისა) არსებული მონაცემების პირობებში ერთი ლიტრი ბენზინის თვითღირებულება 1.61 ლარს არ აღემატება.

ცხადია, ეს მხოლოდ თვითღირებულებაა და კომპანიები ამ ფასს ამატებენ, ზემოთ ხსენებულ ხარჯებსა და მოგების მარჟას, მაგრამ ერთ ლიტრზე 0.90 ლარი სხვაობას, ძნელია ობიექტური და ჯანსაღი ახსნა მოეძებნოს. (ეს არის ყველაზე დაბალფასიან პროდუქტზე დათვლილი სხვაობა, პრემიუმ ტიპის პროდუქტებზე სხვაობა გაცილებით დიდია), თუმცა ამაში უჩვეულო არაფერია კომპანიები, კომერციული ორგანიზაციები არიან და ცხადია, მოგებაზე არიან ორიენტირებულნი, ფასები კი კონკურენციამ უნდა დაარეგულიროს. რომელიც ჩვენს რეალობაში პრაქტიკულად არ არსებობს. არ არსებობს, ასევე ეფექტური მაკონტროლებელი, რომელიც ბაზარზე არაჯანსაღ კონკურენციაში ეფექტიანად ჩაერევა და აღკვეთს ბაზარზე კონკურენციის კანონის უხეშ დარღვევას, რომელიც უკვე წლებია, ჩვენს ბაზარზე გრძელდება.

BFM.GE

# ადვოკატი სიხუაშვილი: „პროკურორებს ზვიად ფხაკაძესა და ინა გუგუშვილს ტყუილებზე პასუხის გაცემა მოუწევთ“

– ორივე პროკურორს, ზვიად ფხაკაძესა და ინა გუგუშვილს, სამართალდამცავებთან მოუწევთ პასუხის გაცემა იმ ტყუილზე, რომელიც მათ სასამართლოში ჩვენების მიცემისას განაცხადეს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ცრუ ჩვენების ბრალდებით დაკავებული არასრულწლოვნის, დ.ღ.-ს ადვოკატმა, ფრიდონ სიხუაშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, 8 იანვრის სხდომაზე გამოკვლეული ჩანაწერით არასრულწლოვან დ.ღ.-ს უდანაშაულობა დადასტურდა.

– დღევანდელ დღეს, იმ ჩანაწერით, რომელიც გამოვიკვლიეთ, ცალსახად კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა. ბრალდებამ მას ბრალში ჩაუწერა, რომ დ.ღ.-მ დამალა ზაზა სარალიძესთან შეხვედრა, ეს სიცრუეა.

ორივე პროკურორს მოუწევს სამართალდამცავებთან პასუხის გაცემა იმ ტყუილზე, რაც მათ სასამართლოში ჩვენების მიცემისას განაცხადეს.

მათი ჩვენებით, ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა დამალა სარალიძესთან შეხვედრა. დღევანდელ პროცესზე გამოკვლეულ მტკიცებულებაში ცალსახად ჩანს და ისმინება, რომ დ.ღ.-მ სასამართლოზე არ უარყო ზაზა სარალიძესთან შეხვედრა.

მან სასამართლოზე არაერთხელ თქვა, რომ მას შეხვდა. ამ მტკიცებულებით დასტურდება, რომ ის სარალიძეს მეორე არასრულწლოვანთან ერთად შეხვდა, ისაუბრეს, – აცხადებს სიხუაშვილი.

მისივე განმარტებით, სასამართლო პროცესზე აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვა არ მომხდარა.

– დროში ვერ ჩავეტიეთ. აქედან გამომდინარე, ვერ მოხდა აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვა, რაც მომდევნო პროცესზე მოხდება. დ.ღ. უკანონო პატიმრობაშია, იმედს ვიტოვებ, დარჩენილ პროცესებში სასამართლო შეცვლის აღკვეთს, ეს იქნება გარდაუვალი, – დასძენს სიხუაშვილი.



2017 წლის 1 დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილი საქმის ფარგლებში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვანი დ.ღ. ივლისის თვეში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დ.ღ.-მ, რომელიც უშუალოდ შეესწრო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტს, განზრახ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს და მისცა ცრუ ჩვენება.

კერძოდ, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე გამოძიებაში მოწმის სახით გამოკითხვისას დ.ღ -მ განაცხადა, რომ გარდაცვლილ დავით სარალიძეს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ კონფლიქტში მონაწილე გ.ჯ და მ.კ, რომლის დროსაც მ.კ. ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა დავით სარალიძეს, თუმცა, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მ.კ-ს ფიზიკურ დაპირისპირებაში მონაწილეობა უარყო.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ სასამართლო სხდომამდე დ.ღ. შეხვდა გარდაცვლილი დავით სარალიძის მშობელს და ესაუბრა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, თუმცა, სასამართლო განხილვის სტადიაზე მსგავსი შეხვედრა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე საუბარი უარყო.

## თბილისში პატრულ-ინსპექტორი დაჭრეს

თბილისში პატრულ-ინსპექტორი დაჭრეს.

სამართალდამცავი 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიჭრა.



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოში, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე 7 იანვარს მომხდარ დაჭრის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის სხეულის დაზიანების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. პატრულ-ინსპექტორი საავადმყოფოში მკურნალობს, მის ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმების შეფასებით სტაბილურია.

სამართალდამცველების მიერ მომხდარ ფაქტზე ინტენსიურ რეჟიმში ტარდება ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები.

## პროკურატურამ თიბისი ბანკიდან დოკუმენტაცია გამოითხოვა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თიბისი ბანკიდან ამავე ბანკის საქმეზე მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში გარკვეული დოკუმენტაცია გამოითხოვა.

საქმის გარშემო არსებულ დეტალებს საგამოძიებო ორგანო ჯერჯერობით არ ავრცელებს.

„გიდასტურებთ, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს, თიბისი ბანკის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ამავე ბანკიდან გამოთხოვილი და ამოღებული აქვს გარკვეული დოკუმენტაცია.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს დოკუმენტების შესწავლა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები. საქმეზე დამატებით ინფორმაციას, მათ შორის დეტალებს გამოძიების შესახებ უახლოეს მომავალში გავავრცელებთ,“ – აცხადებენ პროკურატურაში.



განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არც ბანკს არ გაუკეთებია.

„თიბისი ბანკთან“ მიმართებით გენერალური პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განცხადება გაავრცელა.

როგორც ეროვნული ბანკის განცხადებაშია აღნიშნული, „თიბისი ბანკი“ ჯანსაღი საკრედიტო ორგანიზაციაა, გააჩნია ლიკვიდური სახსრების და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატური დონე.

ეროვნული ბანკის შეფასებით, მიმდინარე საგამოძიებო პროცესი გავლენას არ მოახდენს საბანკო სექტორის მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რასაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საზედამხედველო პოლიტიკის არსებობა.

## „ორი ნაბიჯის“ მაღაზიის დაყაჩაღებისთვის ორი პირი დააკავეს

შსს-მ წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე „ორი ნაბიჯის“ მაღაზიის დაყაჩაღებისთვის ორი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა ორივე პირი მომხდარიდან მეორე დღეს თბილისში დააკავეს.



„სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი 2 პირი: 1979 წელს დაბადებული დ.ჭ. და 1978 წელს დაბადებული ზ.ი., ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები მიმდინარე წლის 7 იანვარს თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ მარკეტში შეიჭრნენ, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის მუქარით მოლარეს სხეულზე დაზიანება მიაყენეს და თანხა გაიტაცეს. სამართალდამცველებმა ორივე პირი მომხდარიდან მეორე დღეს, თბილისში დააკავეს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლით მიმდინარეობს.

## გორში ბებიამ 9 თვის ჩვილი გარდაცვლილი ნახა




გორის რაიონში 9 თვის ბავშვი გარდაიცვალა.

შემთხვევა გუშინ, 8 იანვარს, სოფელ ბერბუკში მოხდა.

ჩვილი გარდაცვლილი ბებიამ დილით ნახა.

უცნობია, რა გახდა ბავშვის გარდაცვალების მიზეზი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ბავშვის დედა კლინიკაშია მოთავსებული და პატარა ბებიას ჰყავდა ჩაბარებული. ბავშვის ცხედარი ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებულია.

როგორც შსს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარ ფაქტზე გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## რუსთავში იუსტიციის სახლთან ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

რუსთავში ახალგაზრდა ბიჭი დაჭრეს.

იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, კლდიაშვილის სკვერში, ახალგაზრდებს შორის შელაპარაკება მოხდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, სიტყვიერი კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც ერთერთმა ახალგაზრდამ მეორეს დანა ბარძაყის არეში დაარტყა.

დაშავებულს დაზიანებები სახის არეშიც აღენიშნება.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ კრიმინალური პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

პაციენტი „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს, მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

„ინფო რუსთავს“ შსს-ში განუცხადეს, რომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რას ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

მხილებულია ერთი პირი და მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.





## ქუთაისთან მანქანა ცხენს დაეჯახა

ბაღდათი-ქუთაისის გზაზე, ვარციხის დასახლებაში, ავტომანქანა ცხენს დაეჯახა.

შეჯახებამ გზაზე მოძრავი 4 ავტომანქანაც დააზიანა. შეჯახების შედეგად ცხენი მოკვდა. ავტომანქანებში მყოფი პირები არ დაშავებულან.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით დაიწყო.

ცხენის პატრონი კი, იმის გამო, რომ ცხოველი ცენტრალურ მაგისტრალზე გადაადგილდებოდა, დაჯარიმდება.

# კიევის სოფიის ტაძარში საშობაო ლიტურგია გაიმართა



წლევანდელი შობა უკრაინელებისთვის განსაკუთრებული იყო. ქვეყანამ ბოლოს და ბოლოს ნანატრი ავტოკეფალია მიიღო. საამისოდ ბრძოლა შვიდი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

7 იანვარს სოფიის ტაძართან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ქალაქში გავარდა ხმა, რომ მოსკოვის საპატრიარქოს მომხრენი სოფიის ტაძარზე შეიარაღებულ თავდასხმას გეგმავდნენ. უკრაინელებიც ტაძართან შეგროვდნენ, რათა თავიანთი სიწმინდე დაეცვათ. ამ დროს ვილაცამ დაიძახა;

– დაცვის საუკეთესო საშუალება შეტევაა! წავიდეთ კიევო-პეჩორსკის ლავრასთან და მოსკოვის საპატრიარქოს მონებს შავი დღე ვაყაროთ!

უკრაინელმა ნაციონალისტებმა პროვოკატორი გააძევეს. კიევო-პეჩორსკის ლავრა აუცილებლად უკრაინელების ხელში გადავა, მაგრამ ეს კანონიერად და მშვიდობიანად მოხდება. მორწმუნეთა უმრავლესობას ავტოკეფალია სურს და გადამწყვეტ სიტყვას სწორედ ისინი იტყვიან.

– ძალადობა პუტინის სცენარია! – განაცხადეს უკრაინელებმა.

შემდეგ მორწმუნეთა წინაშე პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო და ერთიანი უკრაინული მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ეპიფანე წარდგნენ. მათ დამსწრე საზოგადოების წინაშე წარმოადგინეს ტომოსი, დოკუმენტი, რომელიც უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიას ადასტურებს.

– ეს დოკუმენტი უკრაინულად უკვე ითარგმნა. მას სოფიის ტაძრის სატრაპეზო დარბაზში მოათავსებენ. ყველა მსურველს საშუალება ექნება, ეს ისტორიული დოკუმენტი თავად წაიკითხოს! – განაცხადა პოროშენკომ.

ამის შემდეგ სოფიის ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგია დაიწყო, ერთიანი უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის პირველი ლიტურგია. ეკლესიის მეთაურმა, უწმინდესმა და უნეტარესმა მიტროპოლიტმა ეპიფანემ ქვეყანაში მშვიდობისთვის ილოცა.

მიტროპოლიტი დონბასში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო.

– დღეს ყველანი მშვიდობისთვის ვლოცულობთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გვსურს მშვიდობა ნებისმიერ ფასად! ჩვენ ღირსეული მშვიდობა გვინდა. ისეთი, რომელიც უკრაინის ერთიანობას შეუწყობს ხელს, – განაცხადა მისმა უწმინდესობამ.

მიტროპოლიტმა საგანგებოდ დალოცა უკრაინული არმიის ჯარისკაცები, ისინი, ვინც დონბასში უკრაინის ერთიანობას იცავენ, ისინიც, ვინც უკრაინის სხვა რეგიონებში მსახურობენ.

– უფალო, დალოცე ჩვენი მხედრობა, დალოცე ჩვენი გმირი მეომრები, – თქვა ეპიფანემ.

მიტროპოლიტმა თავის ქადაგებაში უკრაინაში მშვიდობის შენარჩუნებას უდიდესი ყურადღება დაუთმო. ეს გასაგებია, რადგანაც რუსეთი უკრაინაში არეულობისთვის დაუღალავად მუშაობს. ამის თაობაზე უკვე არა მხოლოდ ტელე წამყვანები, არამედ რუსეთის პირველი პირები (პუტინი, შოიგუ, ლავროვი) აცხადებენ. უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება კი რუსეთის სერიოზული მარცხია. კრემლი ამას არავის აპატიებს.

– ღმერთო, შენ დაიცავი ჩვენი ქვეყანა, გადააფარე შენი მფარველი კალთა! – ასე ევედრებოდა უფალს მიტროპოლიტი ეპიფანე.

# ტრამპმა, შესაძლოა, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მექსიკასთან კედლის აშენება და საზღვრის ჩაკეტვა აუცილებელია. დემოკრატები, რომელთაც ახლა კონგრესში უმრავლესობა აქვთ, ამას ეწინააღმდეგებიან. ისინი კედლის აშენებას ამორალურობად თვლიან.

ამასობაში აშშ-ის მთავრობაც მხოლოდ ნაწილობრივაა დაფინანსებული, ანუ შათ დაუნი გრძელდება.

– თუ ასე გაგრძელდება, იძულებული გავხდები, საგანგებო მდგომარეობა შემოვიღო, – განაცხადა ტრამპმა.

# კიმ ჩენ ინი ჩინეთს ეწვია



ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი მოულოდნელად ჩინეთს ეწვია. იგი პეკინში მეუღლესთან ერთად ჩინეთის პრეზიდენტის, სი ძინპინის მიწვევით ჩავიდა.

კიმ ჩენ ინი ჩინეთის დედაქალაქში 10 იანვრამდე დარჩება. ჩრდილოეთ კორეის ლიდერს ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებიც ახლავს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეს კიმ ჩენ ინის მეოთხე ვიზიტია ჩინეთში. ჩინეთი ჩრდილოეთ კორეის მნიშვნელოვანი მოკავშირეა, იგი ასევე ფხენიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია.

# აშშ–ჩინეთს შორის მოლაპარაკებები გრძელდება



აშშ და ჩინეთი შეთანხმების ზღვარზე არიან. ამის თაობაზე აშშ-ის ვაჭრობის მინისტრმა როსმა განაცხადა.

სავარაუდოდ, ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეთანხმება მოხერხდება.

– თუმცა, რიგი დეტალები დასაზუსტებელია, – ამბობს როსი.

# შავ ზღვაზე გემი ჩაიძირა

შავ ზღვაზე თურქეთის ნაპირებთან გემი ჩაიძირა. ის თურქეთიდან აზოვის ზღვისაკენ მიემართებოდა. არის მსხვერპლი.




დაიღუპა 6 მეზღვაური. აქედან 4 უკრაინის მოქალაქეა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჯორჯე რაშიჩი: „ჩვენი მიზანი 2022 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაა“



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს 11-13 იანვარს მალტაში, ევროპის 2022 წლის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში უწევს თამაში. ეროვნულ გუნდს სერბი სპეციალისტი, ჯორჯე რაშიჩი უხელმძღვანელებს, რომელიც ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2013-14 წლების სეზონშიც იყო.

მაშინ ჩვენმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე მე-2 ადგილი დაიკავა და შინ სამივე მეტოქე – ფინეთი, თურქეთი და ლიტვა დაამარცხა.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ რაშიჩთან ურთიერთობა 2018 წლის ოქტომბერში განაახლა. მაშინ სერბი სპეციალისტი, გიორგი გვაზავასთან ერთად, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე, კოსოვოში. სწორედ გვაზავა იქნება რაშიჩის თანაშემწე ეროვნულ გუნდშიც.

ნაკრები მალტაში 9 იანვარს მიემგზავრება, იქამდე გუნდი შეკრებაზეა და დღეში ორჯერ ვარჯიშობს ოლიმპიურ სასახლეში.

**ჯორჯე რაშიჩი:**

– ოქტომბერში ჩვენ ძალიან ცოტა დაგვაკლდა ტურნირის მოსაგებად და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გასასვლელად. სამწუხაროდ, ტრავმის გამო დაგვაკლდნენ ცხოვრებაძე და ლაპიაშვილი, უკვე კოსოვოში დაშავდნენ ყორიაული და იობაშვილი. გარდა ამისა, გუნდთან ერთად თითქმის გამგზავრების დღემდე ვარჯიშობდა ნიკოლოზ კალანდაძეც, რომელიც ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზით ვერ წამოვიდა ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად. ჩამოთვლილი მოთამაშეებიდან ერთიც რომ გვყოლოდა კოსოვოში, ამ ტურნირს ჩვენ მოვიგებდით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ!

***– გადავიდეთ ეროვნულ ნაკრებზე და დავიწყოთ 2013 წლით.***

– კი ბატონო, დავიწყოთ იქიდან, სადაც მაშინ შევჩერდით. ვფიქრობ, რომ დღევანდელ ნაკრებში გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეების კარგი ბალანსია და უკეთ დაკომპლექტებული გუნდი გვყავს.

***– ახალი მოთამაშეები როგორ მოგეწონათ?***

– ერთადერთი მოთამაშე, ვინც პირველად ვნახე, გიორგი ცხოვრებაძეა და ბარემ ახლავე ვიტყვი, რომ ის ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტია, მაგრამ გუნდურ თამაშში მოსამატებელი აქვს. სავარაუდოდ, ეს ასაკთან ერთად მოვა. დანარჩენი 17 ხელბურთელიდან, ვინც ახლა ვარჯიშობს, ყველასთან მიმუშავია – ზოგთან ეროვნულ ნაკრებში, ზოგთან ახალგაზრდულში, 2014 წელს, როდესაც ანდორაში, იეიჩეფ ტროფიზე მეორე ადგილი დავიკავეთ, დანარჩენებთან კი 2018 წელს – კოსოვოს ტურნირზე.

თემო ორჯონიკიძე 2013 წელს 17 წლის იყო, ახლა კი საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეა, უკვე ხისტ და კაცურ დაცვას თამაშობს და ძალიან კარგია, რომ უკვე უნგრულ კლუბშია და არა მაკედონიაში. ეს მას უფრო გუნდურ მოთამაშედ აქცევს. ლექსო წითელიშვილიც გუნდში იყო 2013-14 სეზონში, მაგრამ მაშინ თამაში არ უწევდა. ირაკლი ჩიქოვანიც მაშინაც წამყვანი მოთამაშე იყო და ახლა ხელბურთისთვის საუკეთესო ასაკშია.

მნიშვნელოვანია, რომ გუნდში არის 2 ვეტერანი, შოთა თევზაძე და რეზო ჭანტურია, ჩვენთანაა 40 წლის სერგო დათუკაშვილიც, რომელიც, საჭირო მომენტში, დაცვაში დაგვეხმარება, გვყავს რატი მსხვილიძეც. ერთადერთი, იმ გუნდიდან აღარ თამაშობს ვლადიმერ რუსია და ეს დიდი დანაკლისია, მაგრამ ახალგაზრდების გათვალისწინებით, ვიტყვი, რომ ეს გუნდი უფრო პერსპექტიულია.

***– მოდით, რამდენიმე მოთამაშის პოზიცია დავაზუსტოთ. რატი მსხვილიძე შარშანდელ შესარჩევში ხაზზე თამაშობდა. თქვენ როგორ გამოიყენებთ?***

– რატი ჩემთვის მარჯვენა ინსაიდია, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ პივოტადაც გამოვიყენოთ.

***– გიორგი დიხამინჯია, რომელიც მარჯვენა მხარეს ინსაიდადაც თამაშობს და კუთხეშიც?***

– მიუხედავად იმისა, რომ კლუბში შუაში ათამაშებენ, დიხამინჯიას, მე ვფიქრობ, გარემარბის მონაცემები უკეთესი აქვს. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ორივეგან გამოვიყენებ. მსხვილიძე და დიხამინჯია 2-2 პოზიციას დაფარავენ. გარდა ამისა, მარჯვენა კუთხეში ჩვენ გვყავს ჭანტურია და ირაკლი გოგოლაძე, ხოლო ხაზზე – ერეკლე არსენაშვილი და უჩა მაისურაძე. არ გამოვრიცხავ, რომ ამ პოზიციაზე ჩვენ დაგვჭირდეს გიგა ზარნაძეც.

***– ამჟამად შეკრებაზეა 18 ხელბურთელი, მათ შორის 3 მეკარე. 16-კაციან გუნდს როდის გამოაცხადებთ?***

– პრინციპში, 15 კაცის ვინაობა მწვრთნელებს უკვე დადგენილი გვაქვს. დარჩენილ ერთ ადგილზე არის 3 კანდიდატურა: 17 წლის ქუთაისელი მარცხენა გარემარბი ჯემალ იმნაძე, რომელიც ძალიან მონდომებული ბიჭია, მაგრამ ჯერ ძალიან პატარაა; წყალტუბოელი სილაგაძე, ასევე 17 წლის, საინტერესო მეკარე, სხარტი და კარგი რეაქციით, რომლის კაცების გუნდში ნახვაც ძალიან მინდა და პეგასის 19 წლის გამთამაშებელი გიგა ზარნაძე, რომელიც მისი აღნაგობიდან გამომდინარე, დამატებითი ვარიანტი იქნება პივოტის პოზიციაზე,

ეს პოზიცია 2013-14 წლებში პრობლემური ადგილი იყო ნაკრებში. წინ კიდევ რამდენიმე ვარჯიში გვაქვს და ძალიან ვფრთხილობთ, არ ვიცით, რა და როგორ იქნება, ამიტომაც, მეთექვსმეტე კაცს 9 იანვარს, ბოლო ვარჯიშის შემდეგ დავასახელებთ.

***– ახლა მეტოქეები შევაფასოთ.***

– მალტასთან და აზერბაიჯანთან არ უნდა გაგვიჭირდეს. კვიპროსის თამაში ნანახი მაქვს და გეტყვით, რომ ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა 13 იანვარს, საქართველოსა და კვიპროსის მატჩში გაირკვევა. იმასაც გეტყვით, რომ როგორც გუნდური თამაშით, ასევე ჩვენი ბიჭების ინდივიდუალური ოსტატობის მიხედვით, საქართველოს ნაკრები ფავორიტია.

***– მაშინ ბარემ წინ გავიხედოთ და მომდევნო ეტაპზე, ფლეი ოფზე ვისაუბროთ.***

– ფლეი ოფი გაისადაა, იქამდე მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაცია გველის, თუმცა, სავარაუდო მეტოქეები შეგვიძლია ჩამოვთვალოთ: კოსოვო, ფარერები, თურქეთი ან საბერძნეთი, ფინეთი, იტალია. თითქმის ყველა ამ გუნდისთვის ბოლო წლებში მოგებული გვაქვს და, ცხადია, ფლეი ოფშიც შეგვიძლია მათი დამარცხება.

თუ ეს შევძელით, 2020 წლის ოქტომბრიდან დაგვეწყება მთავარი შესარჩევი რაუნდი, სადაც უკვე ყველა გრანდი თამაშობს.

***– მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე უკვე 24 გუნდი თამაშობს და შესარჩევის ფორმატიც არცთუ ისე მკაცრია. მონაწილეობს 32 გუნდი და თამაშდება მინიმუმ 20 საგზური.***

– დიახ, მინიმუმ 4 საუკეთესო მესამეადგილოსანი გუნდიც გადის ოთხგუნდიანი ჯგუფიდან.

***– ესე იგი, ევრო 2022 რეალურია?***

– დიახ. მიზნად სწორედ ეს უნდა დავისახოთ. მთავარი შესარჩევი რაუნდი იწყება 2020 წლის ოქტომბერში, თითქმის 2 წლის შემდეგ და ჩვენ ამ დროში დიდი რეზერვი გვაქვს, რადგან 2 წელიწადში ცხოვრებაძემ, ორჯონიკიძემ, დიხამინჯიამ, კბილაშვილმა და სხვა ახალგაზრდებმა სერიოზული პროგრესი უნდა განიცადონ.

ოღონდ ამას სხვანაირი მომზადება დასჭირდება. თუ პირველი ეტაპისთვის მოსამზადებლად 6 დღე და 10 ვარჯიში საკმარისია, პლეიოფის გასავლელად დაგვჭირდება მეტი დრო და საკონტროლო მატჩები. გაცილებით მეტი რესურსი დაგვჭირდება მთავარი შესარჩევი რაუნდის დასაძლევად.

დაბალანსებული და პერსპექტიული გუნდი გვყავს, მაგრამ ისეც არაა, რომ პრობლემური პოზიცია არ გვქონდეს – ხაზი, მარცხენა კუთხე. ამ პოზიციებზე და ყველა სხვა პოზიციაზე ბევრი სხვა მოთამაშის გამოცდაც მოგვიწევს. მე ძალიან ბევრ პერსპექტიულ ახალგაზრდას უკვე ვიცნობ, ზოგსაც არ ვიცნობ, დიდი მუშაობა იქნება გასაწევი, რომ მთელი ჩვენი რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**საქართველოს ნაკრების სადღეისო შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** შოთა თევზაძე (ფოჩანი, რუმინეთი), გიგა ტორონჯაძე (ბათუმი), იური სილაგაძე (წყალტუბო);

**მოთამაშეები:** ზურაბ აბრამიშვილი, ირაკლი გოგოლაძე (ორივე ბათუმი), ჯემალ იმნაძე (ქუთაისი), ლექსო წითელიშვილი, გიორგი დიხამინჯია (ორივე სტრუგა, მაკედონია), თეიმურაზ ორჯონიკიძე (ფერენცვაროში, უნგრეთი), სერგო დათუკაშვილი (უგუნდო), ირაკლი ჩიქოვანი (კონსტანცა, რუმინეთი), ირაკლი კბილაშვილი (ოდესა, უკრაინა), გიგა ზარნაძე (პეგასი),გიორგი ცხოვრებაძე (მონპელიე, საფრანგეთი), რატი მსხვილიძე (უგუნდო), რევაზ ჭანტურია (პელისტერი, მაკედონია), ერეკლე არსენაშვილი (დიომიდის არგოსი, საბერძნეთი), უჩა მაისურაძე (უგუნდო).

# ევროპული პრესა ბითაძის ქებას განაგრძობს



მას შემდეგ, რაც გოგა ბითაძე მეგა ბიმაქსიდან ბუდოჩნოსტში გადავიდა, მის მიმართ ექსპერტების ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდა. ბუდოჩნოსტი ევროლიგაზე თამაშობს და ჩვენებურიც ურიგოდ არ გამოიყურება. მილანთან ეფექტური მატჩის შემდეგ, როცა გოგა ბითაძემ სტუმრად მილანის ოლიმპიას 23 ქულა ჩაუგდო, ქართველ ცენტრს იტალიურ მედიაში სტატია მიუძღვნეს.

– ბუდოჩნოსტის რიგებში ევროლიგის პირველ 2 მატჩში გოგა ბითაძემ ფიზიკური და ტექნიკური ოსტატობის შესაძლებლობების უნიკალური ნაზავი აჩვენა. ქართველი ცენტრი მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ თამაშობს, როგორც ლიდერი, ის მალე ევროლიგის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი გახდება, რომელსაც ნბა ელის. მას მერე, რაც ლუკა დონჩიჩი ამერიკაში გადავიდა, ჩვენ მოთმინებით ველოდით, თუ როდის შემოგვთავაზებდა ევროლიგა მორიგ დიდ ტალანტს. ახლა ჩვენ უკვე გვაქვს პასუხი – ის გოგა ბითაძეა.

ბითაძემ მეგა ბიმაქსი დატოვა შესანიშნავი სტატისტიკით: 11 მატჩში გუნდმა 7 მოიგო, ხოლო თავად გოგამ საშუალოდ 20.2 ქულა, 7.9 მოხსნა და 2.5 ბლოკი აკეთა. ის ორქულიანებს 64.5%-იანი სიზუსტით ესროდა, სამიანებს კი – 41.7%.

ქართველი კალათბურთელი ძალიან თანამედროვე ცენტრია, რომელსაც შეუძლია როგორც ფარქვეშ, ისე პერიმეტრზე თამაში. მისი ასაკისთვის კუნთური მასა მას უკვე ნორმალურად აქვს (211 სმ, 112 კგ), მაგრამ მაინც ძალზე მობილურია.

ბუნებრივი მონაცემები მას აძლევს იმის საშუალებას, რომ მუდამ აქტიური იყოს. ივნისში ბითაძე ნბა-ს დრაფტზე დადგება. დრაფტზე ორიენტირებული ვებგვერდების დიდი უმეტესობა მას პირველი რაუნდის ბოლოს ან მეორე რაუნდის დასაწყისში ელის (22-დან 33-მდე).

სავარაუდოდ, ბითაძე დრაფტის საუკეთესო ცენტრების ხუთეულშია, რომელშიც ბოლ ბოლს ვხვდებით, ლეგენდარული მანუტე ბოლის ვაჟს. ჩვენ კი ძალიან გამოკვეთილი კანდიდატი გვყავს ევროლიგის ამომავალი ვარსკვლავის ტროფეისთვის ბრძოლაში.

# ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ 12 ტალანტში 3 ქართველი შეიყვანა

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ იმ ძიუდოისტების სია გამოაქვეყნა, რომელთაგანაც 2019 წელს წარმატებებს უნდა ველოდოთ. აღსანიშნავი ფაქტია, რომ 12-კაციან სიაში 3 ქართველია.

სიაში სულ 7 ქვეყნის 12 წარმომადგენელია. ცხადია, ყველაზე მეტი იაპონელია – 4, შემდეგ მოდიან ქართველები, ხოლო დანარჩენ 5 ქვეყანას თითო წარმომადგენელი ჰყავს.

ჩვენებურთაგან ყველაზე გამორჩეულ ძიუდოს ტალანტებში მოხვდნენ ლაშა ბექაური, მარიამ ჭანტურია და გელა ზაალიშვილი.

### ლაშა ბექაური
**18 წლის, 90 კგ**

საქართველოს ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი ბაჰამის კუნძულებზე ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მონაწილე იყო. მან საკმაოდ მოიმატა ფიზიკურ კონდიციებში მას მერე, რაც კადეტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მაშინ ის 73 კილოში ასპარეზობდა.

ბექაურს დიდ ტურნირებში დებიუტი 2019 წელს ელის. მისი გამოსვლა ბევრს დააინტერესებს, მას დიდი პოტენციალი აქვს, რათა დიდებშიც მაღალ დონეზე გამოვიდეს.

### მარიამ ჭანტურია
**18 წლის, 70 კგ**

თბილისის გრან პრის ბრინჯაოს მედალოსანი, საქართველოს ქალთა ძიუდოს ერთ-ერთი ლიდერია. თინეიჯერმა გოგონამ შარშან შინ, მეგობრების, ოჯახის წევრებისა და ადგილობრივი აქტიური ფანების თვალწინ მოიგო პირველი მედალი.

დაველოდოთ, რას იზამს 2019 წლის თბილისის გრან პრიზე ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ჭანტურია.



### გელა ზაალიშვილი
**19 წლის, +100 კგ**

მას მერე, რაც ბაჰამის კუნძულებზე ოქროს მედალი ახალგაზრდებში მოიგო, ზაალიშვილმა განაცხადა, რომ მას ძალების მოსინჯვა უკვე დიდ ტურნირებზეც სურს.

მის წონაში მისი თანამემამულე გურამ თუშიშვილი მსოფლიოს ჩემპიონი და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგის პირველი ნომერია. მაგრამ მას არ აშინებს ის ფაქტი, რომ მალე თუშიშვილთან და სხვა ვარსკვლავებთან მოუწევს ჭიდაობა.

ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონმა დეკემბერში თავისი ქვეყნის ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ფინალში მან ლევან მატიაშვილთან წააგო.

**ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის სხვა რჩეულები არიან:**

მურაო სანშირო, აკირა სონე, ტაცურუ საიტო, უტა აბე (ყველა იაპონია), ჯისუ კიმი (კორეა), დარია ბილოდიდი (უკრაინა), კაიზერ კაია (სლოვენია), დიკო რომანი (საფრანგეთი), პრიმო გეფენი (ისრაელი).

# შედეგები

**7 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აზიის თასი**

ჩინეთი-ყირგიზეთი ........................ 2:1
კორეა-ფილიპინები ........................ 1:0
ირანი-იემენი ................................ 5:0

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

ვულვზი-ლივერპული ..................... 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ბილბაო ............................. 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 12 | 4 | 2 | 50-20 | 40 |
| 2.ატლეტიკო | 18 | 9 | 8 | 1 | 26-13 | 35 |
| 3.სევილია | 18 | 9 | 6 | 3 | 31-18 | 33 |
| 4.ალავესი | 18 | 9 | 4 | 5 | 21-18 | 31 |
| 5.რეალი | 18 | 9 | 3 | 6 | 26-23 | 30 |
| 6.ბეტისი | 18 | 7 | 5 | 6 | 21-21 | 26 |
| 7.ხეტაფე | 18 | 6 | 7 | 5 | 19-15 | 25 |
| 8.ესპანიოლი | 18 | 7 | 3 | 8 | 19-24 | 24 |
| 9.ხირონა | 18 | 5 | 8 | 5 | 20-22 | 23 |
| 10.ლევანტე | 18 | 6 | 5 | 7 | 30-34 | 23 |
| 11.სოსიედადი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-20 | 22 |
| 12.ვალენსია | 18 | 4 | 10 | 4 | 16-16 | 22 |
| 13.ეიბარი | 18 | 5 | 7 | 6 | 21-25 | 22 |
| 14.სელტა | 18 | 5 | 6 | 7 | 29-28 | 21 |
| 15.ვალიადოლიდი | 18 | 5 | 6 | 7 | 16-20 | 21 |
| 16.ლეგანესი | 18 | 4 | 7 | 7 | 16-21 | 19 |
| 17.ბილბაო | 18 | 3 | 10 | 5 | 18-25 | 19 |
| 18.ვილიარეალი | 18 | 3 | 8 | 7 | 19-23 | 17 |
| 19.რაიო | 18 | 4 | 4 | 10 | 18-32 | 16 |
| 20.უესკა | 18 | 2 | 5 | 11 | 17-35 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-ოვიედო ......................... 2:3
მაჰადაონდა-ლას პალმასი ............ 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-ავიში ........................ 1:0
ტონდელა-სპორტინგი .................... 2:1
პორტუ-ნასიონალი ........................ 3:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მატერაცი, გომეში და ნჯიტაპი თბილისს ეწვევიან

11, 12 და 13 იანვარს თბილისის ოლიმპიური სასახლე დარბაზის ფეხბურთის ტრადიციულ ტურნირს, დავით პეტრიაშვილის სახელობის ზამთრის თასის 2019 წლის გათამაშებას უმასპინძლებს.




წელს ზამთრის თასის ლეგენდების გათამაშება ვარსკვლავური შემადგენლობითა და ახალი გუნდებით გაახარებს ფეხბურთის გულშემატკივარს.

თბილისის ოლიმპიური სასახლე მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდების მოლოდინშია. ტრადიციულად, ჩატარდება გათამაშება ეროვნული ჩემპიონატის კლუბებს შორის, რომლის მთავარი მიზანი ჩემპიონატებს შორის შესვენების გამრავალფეროვნებაა.

სამივე დღეს, ტრადიციად ქცეულ, საახალწლო გათამაშებაზე დასწრება, ყველა მსურველისთვის უფასო იქნება.

ამ ეტაპზე, ცნობილია გათამაშების მონაწილე ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის 13 გუნდის ვინაობა და ტურნირის ფორმატი. კლუბები ერთ ოთხგუნდიან და სამ სამგუნდიან ქვეჯგუფში არიან გადანაწილებული. თითოეული ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებას პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები მიიღებენ.

**გუნდები ჯგუფებში ასე გადანაწილდნენ:**

**ა ჯგუფი:** დინამო (თბ), ვიტ ჯორჯია, ცხინვალი, სიონი;

**ბ ჯგუფი:** საბურთალო, დილა, თელავი;

**გ ჯგუფი:** გაგრა, ლოკომოტივი, ნორჩი დინამო;

**დ ჯგუფი:** ტორპედო, რუსთავი, შევარდენი.

სამდღიან საახალწლო ფესტივალს 13 იანვარს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ლეგენდების ტურნირი დაასრულებს. წელს, პირველად, ზამთრის თასში ფიფას გუნდი მონაწილეობს. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის გუნდი თბილისში უეფას, ესპანეთის, უკრაინის, თურქეთისა და საქართველოს გუნდებთან ერთად, ზამთრის თასის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

**გუნდები 2 სამგუნდიან ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდნენ:**

**ა ჯგუფი:** საქართველო, ფიფა, თურქეთი;

**ბ ჯგუფი:** უეფა, ესპანეთი, უკრაინა.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ ლეგენდებიდან თბილისს ეწვევიან იტალიელი მარკო მატერაცი, პორტუგალიელი ნუნუ გომეში და კამერუნელი ჯერემი ნჯიტაპი.

წელს ზამთრის თასის გათამაშება მესამედ გაიმართება. 2017 წელს გამართული პირველი ტურნირის გამარჯვებული საფეხბურთო კლუბი გაგრა გახდა, 2018 წელს კი, საუკეთესოს ტიტული თბილისის ლოკომოტივმა მოიპოვა.

ლეგენდების გათამაშებაში კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გუნდმა ჩემპიონის ტიტული ზედიზედ ორჯერ მოიპოვა.

# ტორპედოს ჩერნოგორიელი მცველი დაემატა

ქუთაისის ტორპედოს პრესსამსახურის ინფორმაციით, იმერულმა კლუბმა ჩერნოგორიელი ფეხბურთელი ნიკოლა სტიეპოვიჩი დაიმატა. სტიეპოვიჩი 25 წლის მარცხენა მცველია და ტორპედოსთან 2-წლიანი (1+1 სისტემით) კონტრაქტი გააფორმა.




2018-19 წლების სეზონის პირველი ნახევარი სტიეპოვიჩმა ალბანურ კასტრიოტიში გაატარა, სადაც 17 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მანამდე კი, 2010-17 წლებში, სუტიესკას ღირსებას იცავდა. ამ პერიოდში ორჯერ გახდა ჩერნოგორიის ჩემპიონი, ერთხელ კი ქვეყნის თასიც მოიგო. გარდა ამისა, იყო მონტენეგროს 21-წლამდელთა ნაკრების წევრიც.

რიონისპირული გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას დღეიდან იწყებს და ჩერნოგორიელი მცველიც უკვე გუნდთან ერთად შეუდგება მზადებას.

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს ტორპედომ უკვე მეორე ფეხბურთელი დაიმატა. ქუთათურების პირველი ახალწვეული გორის დილას ნახევარმცველი ნოდარ ქავთარაძე გახდა.

გუნდი დატოვეს ლეგიონერებმა: თავდამსხმელმა მილოშ ლაჩნიმ, მცველებმა – ლაზარ მარინიმ და ოლექსანდრ აზაცკიმ, ასევე ნახევარმცველმა მარეკ ჰლინკამ. მათ გარდა ტორპედომ შემტევი ლევან კუტალია და მეკარე ტარიელ ხაინდრავა მოისაკლისა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# კიმ კარდაშიანი პატიმრებისგან ათასობით წერილს იღებს




ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი ყოველდღე აშშ-ის ციხეებში მსხდომი პატიმრებისგან ათასობით წერილს იღებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრები მთელი ქვეყნის მასშტაბით კარდაშიანს დახმარების თხოვნით მიმართავენ და იმედი აქვთ, ის მათ გათავისუფლებაში დახმარებას შეძლებს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ პატიმრებმა ტელევარსკვლავს მეტსახელად „ციხის რეფორმის პრინცესა“ შეარქვეს.

# ბრიტანელებმა საშობაო საჩუქრებით ვაჭრობა დაიწყეს



ბრიტანელებმა ინტერნეტში გასაყიდად იმ ნივთების გამოტანა დაიწყეს, რომლებიც საშობაოდ საჩუქრებად მიიღეს და არ მოეწონათ.

აღნიშნული განცხადებები გამოჩნდა ონლაინმაღაზიაში აღწერით „არასასურველი საჩუქრები“. მათ შორის აღმოჩნდა ფრანგული ბრენდის ფეხსაცმელები 150 ფუნტ სტერლინგად, ზოლიანი წინდები 2,5 ფუნტად, წითელი რეზინის ჩექმები 6 ფუნტად და სდ-ს ხუთი ფირფიტისგან შემდგარი კომპლექტი სახელწოდებით „სდ-ი სიყვარულზე, მშვენიერ მომენტებსა და ემოციებზე“.

პოპულარულ არასასურველ საჩუქრებად ასევე იქცა ვირის კერამიკული ქანდაკება, საფეხბურთო კლუბ „არსენალის“ მეკარის ხელთათმანების მსგავსი ხელთათმანები, წიგნები, მუსიკალური ფირფიტები, პატარა სუვენირები და აქსესუარები.

# ამერიკელი მომღერალი ყველაზე მოდურ მამაკაცად აღიარეს



ამერიკელი მომღერალი და მსახიობი ნიკ ჯონასი გასული წლის ყველაზე მოდურ მამაკაცად აღიარეს.

მის გამოსავლენად ხმის მიცემა საკუთარ ვებგვერდზე ჟურნალმა GQ-მ ჩაატარა. მკითხველებს არჩევანის გასაკეთებლად 64 კანდიდატი წარუდგინეს. ჯონასის მთავარი კონკურენტები იყვნენ მსახიობები ჯეფ გოლდბლიუმი და რაიან რეინოლდსი, ასევე მუსიკოსი ჯონ ლეჯენდი.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის დეკემბერში ნიკ ჯონასისა და მსახიობ პრიანკი ჩოპრის ქორწილს ჟურნალისტებმა დაუსრულებელი ფეშენშოუ უწოდეს იმ უამრავი სამოსის გამო, რომელიც მსახიობმა დღის განმავლობაში გამოიცვალა.

# ჯასტინ ბიბერმა სასტუმროს ფაჩუჩებით ვაჭრობა დაიწყო

კანადელი პოპშემსრულებლის ჯასტინ ბიბერის ბრენდმა Drew House-მ გაყიდვაში გამოუშვა იაფფასიანი სასტუმროს ფაჩუჩები.




თეთრი ფერის ყვითელსმაილიკებიანი ფაჩუჩები, რომელსაც ღიმილის ნაცვლად აწერია სიტყვა დრეწ, მარკის ვებგვერდზე 4,99 დოლარად იყიდებოდა და ამ მომენტისთვის მთელი პარტია გაყიდულია.

ცნობილია, რომ მომღერალი არაერთხელ შეუნიშნავთ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში სხვადასხვა სასტუმროს ლოგოტიპიანი ფაჩუჩებით, რომლებიც მას დიზაინერების სამოსთან ერთად ეცვა, მიუხედავად ამინდისა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 9 იანვრისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ დაქვეითებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. იკვებეთ სწორად. **კურო** – ნუ გადაიღლებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – საკუთარ შეცდომებს დაუკვირდით და გააანალიზეთ. დაეხმარეთ გაჭირვებულებს. **კირჩხიბი** – თქვენს სულიერ სიმშვიდეს არაფერი არღვევს. სერიოზული საქმით დაკავდით. **ლომი** – საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ახლობელ ადამიანთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება, რომელშიც თქვენც ჩაერთვებით. ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. ერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. **ღრიანკალი** – შემოქმედებით საქმიანობაში გიმართლებთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. გიმართლებთ როგორც სიყვარულში, ისე კარიერაში. ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და წინდახედულობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადეთ, სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. **მერწყული** – კარგად გამოიძინეთ, დაისვენეთ. სუფთა ჰაერზე სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **თევზები** – გაითვალისწინეთ გამოცდილი სპეციალისტის რჩევები. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების რისკი დიდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 2. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 3. იტალიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 4. აეროპორტი მილანში; 7. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში; 9. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 15. კუთხე საქართველოში; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

**თარაზულად**: 5. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის ცნობილი მოთხრობა; 10. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 11. საათის მექანიზმი; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 18. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 21. მკბენარა მწერი; 22. ქართული ხალხური ცეკვა; 23. მინერალი, ძვირფასი სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ღვენთი; 2. ბრამსი; 3. ბარტოლდი; 4. ბელუჩი; 6. პარასოლი; 8. „არემჯი“; 11. ქარაშოტი; 12. დემეტრე; 16. ვეკუა; 17. კეინი; 18. სპიჩი.

**თარაზულად:** 1. ღრუბელი; 5. სტეპი; 7. ჰაჯიბეი; 9. ნეიმარი; 10. ბულიმია; 13. ჯანდარა; 14. შაგალი; 15. სენა; 19. ვერდერი; 20. ფელამუში; 21. სამთავისი; 22. დიჟონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. ნალმი; 3 იმბეცილი; 4. ჰენესი; 7. ანისი; 9. გეიშა; 12. ბრიჯსტოუნი; 14. ბორნეო; 15. მეეზოვე; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

**თარაზულად:** 5. ცუცხვათი; 6. დამიანე; 8. სამსუნი; 10. პასკვილი; 11. ბრუნეი; 13. კაიზერი; 16. ბარაკონი; 18. ფუქსი; 19. გესლი; 21. ახმეტა; 22. ავადჰარა; 23. ტოსკანა.

# ვანო იანტბელიძეს ვარსკვლავს გაუხსნიან



თელავის თეატრის მსახიობს ვანო იანტბელიძეს მშობლიური თეატრის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან.

14 იანვარს ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება სწორედ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრში გაიმართება.

ამავე დღეს თელავის თეატრის მსახიობის ვანო იანტბელიძის 65 წლის საიუბილეო საღამო და ვარსკვლავის გახსნა შედგება.

# მასტერი: „გადავწყვიტე, ფული აღარ ვასესხო ადამიანებს“



რეპერმა გიორგი პავლიაშვილმა, იგივე მასტერმა მტკიცედ გადაწყვიტა, ადამიანებს ფული აღარ ასესხოს:

– არ ვიცი, როგორ ჟღერს და შეიძლება ბევრმა უაზროდ გამაკრიტიკოთ, მაგრამ გადავწყვიტე, ფული აღარ ვასესხო ადამიანებს. უკვე იმდენი შემთხვევა დაგროვდა, როცა ადამიანი ოჯახის წევრებს სათითაოდ რომ გეფიცება ფულის დაბრუნებაზე, ასესხებ და მერე უსინდისოდ ქრება...

ასეთი კაცი არც მეგობრად გამოგადგება და არც ნაცნობად... როცა შენ თავზე მახტები, მე შენ არ გაგითვალისწინებ. ამის გამო იმდენ ადამიანზე შემეცვალა შეხედულება, რომ მირჩევნია, ხალხი აღარ გამოვცადო!

# ნიკა გვარამიამ „მხოლოდ ქართულში“ ვეტო გამოიყენა და ნუცა თოფურია პროექტში დატოვა




ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ მუსიკალურ პროექტში „მხოლოდ ქართული“ ვეტოს უფლება გამოიყენა და გავარდნის ნომინანტი კონკურსანტი ნუცა თოფურია პროექტში დატოვა.

ნიკას ამ გადაწყვეტილებამ გიორგი ცხადაძის გულშემატკივარი გააღიზიანა, რადგან სწორედ ახალ წლამდე 5 წუთით ადრე „მხოლოდ ქართული“ გიორგის დაატოვებინეს, არ გამოიყენეს ვეტოს უფლება და მსახიობსა და მომღერალს ახალი წელი ჩაუშხამეს.

ქალი კომპოზიტორების სიმღერები კონკურსანტებმა კვლავაც უნაკლოდ შეასრულეს, თუმცა ყველაზე ცოტა ქულა ნუცა თოფურიამ დააგროვა და კინაღამ პროექტს დაემშვიდობა.

კონკურსანტები ლელა წურწუმიასთან, ნანი ბრეგვაძესთან, გიორგი გაბუნიასთან, მარინა ბერიძესთან და სოფო ნიჟარაძესთან ერთად, ჟიურის კიდევ ერთმა ახალმა წევრმა ბუბა კიკაბიძემ შეაფასა.

სწორედ ბუბა კიკაბიძესთან ერთად გახსნეს საკონკურსო დღე „მხოლოდ ქართულის“ მონაწილეებმა საშობაო სიმღერით „25-სა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“.

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1958 წლის კურსდამთავრებულები (რევაზ გოგოხიას სამეგობრო) იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი და მეგობარი, ყველას წინაშე ვალმოხდილი ღირსეული პიროვნება

**გალაქტიონ მანია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, განსაკუთრებით მასზე მზრუნველ უმცროს ძმას, ცნობილ ჟურნალისტსა და საინიციატივო საქმეთა მენეჯერს, ბატონ გვანჯი მანიას.

საქართველოს პარლამენტის მეოთხე და მეხუთე მოწვევის ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ფრაქციის თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი

**გივი ნიკოლოზის ძე ლომინაძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ვახტანგ ყოლბაია, ელგუჯა გვაზავა, დავით გვაძაბია, აკაკი გასვიანი,
ანზორ წოწონავა, ჯემალ საჯაია, ჯანრი ეზუგბაია,
ვალერი ჭანტურია, ოთარ ჭითანავა, თენგიზ კალანდაძე,
ბესიკ ლაგვილავა, ავთანდილ თევზაძე

გრიგოლ (გიშურა) ბისეიშვილი ოჯახით და ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან დეიდაშვილის

**ომარ პოლიაქტორის ძე ზოიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გურული სიმღერის დიდოსტატი გური სიხარულიძე გარდაიცვალა



88 წლის ასაკში გურული ხალხური სიმღერის დიდოსტატი გური სიხარულიძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია ანსამბლმა „შავნაბადამ“ გაავრცელა:

– ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ, გურული ხალხური სიმღერის დიდი ოსტატის, სიხარულიძეების მომღერალი გვარის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, იშვიათი მუსიკალური მოაზროვნის, სამუსიკო ფოლკლორის წმინდა ტრადიციების დამცველის გური სიხარულიძის გარდაცვალების გამო.

გური სიხარულიძემ აღზარდა თაობები, მან მოახერხა ყველა თაობის წარმომადგენელთან მეგობრული და მამაშვილური სიყვარულის გაღვივება. მისი შესრულებული სიმღერები, დღეს ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოა, თუ როგორ უნდა იმღერო, როგორ უნდა იგრძნო შენს გვერდში მდგომი შემსრულებელი, როგორ უნდა გიყვარდეს მეგობარი და როგორ უნდა იმღერო სიყვარულით.

გური სიხარულიძე იყო და დარჩება მაგალითად თუ, როგორ უნდა ემსახურო შენ ქვეყანას, წინაპრების დანატოვარს და შენი ერის განძს – ქართულ გალობასა და ხალხურ სიმღერას.

ვუსამძიმრებთ გური სიხარულიძის ოჯახს, გურიას და საქართველოს!

**მიშა მდინარაძე, კომპოზიტორი:**

– გური სიხარულიძის წასვლამ ძალიან დამწყვიტა გული. ცოდნის უზარმაზარი სკივრი დაიხურა... დიდი იმედი მაქვს, შევძელით მაქსიმალურად აგვეღო მისგან ყველა ნოტი და ყველა ამოსუნთქვა.

გიორგი უშიკიშვილი, ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი:

– ბოლო რამდენიმე წელია, წლის დასაწყისში მიწევს ძალიან სამწუხარო ინფორმაციის დაწერა. ამჯერადაც ძალიან დიდ მწუხარებას გამოვთქვამ, რომ 89 წლის ასაკში, სოფელ მაკვანეთში გარდაიცვალა გურული სიმღერის უბადლო შემსრულებელი გური სიხარულიძე. რაც დრო გადის, უფრო მეტად ვხვდები, რა დიდი დანაკლისია ხალხური სიმღერის დიდოსტატების წასვლა ამ ქვეყნიდან. ყოველთვის მეყვარება და მემახსოვრება ბატონი გური.

# რატი წითელაძე „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოებაზე




ქართველი რეჟისორი რატი წითელაძე ოქროს გლობუსის დაჯილდოებაზე ჩავიდა და საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალის რჩეული რეჟისორებიდან, ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის კომისიამ რატი წითელაძე, პროექტით „ცარიელი სახლი“, 3 გამარჯვებულს შორის დაასახელა.

რატი ლოს-ანჯელესში, სამკვირიანი რეზიდენციის ფარგლებში ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის წევრებს, ცნობილ კინემატოგრაფისტებსა და მნიშვნელოვან კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს შეხვდება.

ქართველი რეჟისორი რატი წითელაძე პირველი ქართველი რეჟისორია ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში, რომელიც ოქროს გლობუსის ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის რეზიდენციის გრანტის გამარჯვებული გახდა.

რატი „ცარიელი სახლით“ ასევე შერჩეული იყო 6 საუკეთესო რეჟისორს შორის კანის კინოფესტივალზე, 10 რჩეულ პროდიუსერს შორის ბერლინალეზე და მსოფლიოს არაერთი პრესტიჟული ფესტივალის ჯილდო მოიპოვა.

**რატი წითელაძე:**

– უდიდესია პატივია ვიყო ოქროს გლობუსის – ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის ნაწილი!

# ქართველი ოპერატორი გიორგი შველიძე ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოების ნომინანტია



ცნობილმა ამერიკულმა გამოცემამ „ვარიეტი“ ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოების ნომინანტების სია გამოაქვეყნა. ნომინანტებს შორის მოხვდნენ მსოფლიოში ცნობილი და გახმაურებული ფილმები და ტელესერიალები.

ერთ-ერთ ნომინაციაში კი წარდგენილია ქართველი ოპერატორი გიორგი შველიძე ფილმისთვის „ნამე“.

პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული ფილმის ოპერატორი ამ ჯილდოზე წარადგინეს, ორი წლის წინ იყო, როდესაც ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოების გამარჯვებული, ესპანელი ოპერატორი გორკა გომეზ ანდრეუ გახდა რუსუდან გლურჯიძის ფილმისთვის „სხვისი სახლი“. იგი სფოთლაით ევორდის მფლობელია.

დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც გამარჯვებულების ვინაობა გახდება ცნობილი, 9 თებერვალს 33-ედ გაიმართება. წლევანდელი წელი საიუბილეოა, რადგან ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოება 100 წლის იუბილეს იზეიმებს.

# მსახიობი რეზი ნასიძე დააკავეს



მსახიობი რეზი ნასიძე, რომელიც ცნობილი სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ მონაწილეობის შემდეგ გახდა, დააკავეს.

მას წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საავადმყოფოში ექიმისთვის ფიზიკური შეურაცხყოფაში ედება ბრალი. როგორც ცნობილია, დაზარალებულს სერიოზული დაზიანებები აღენიშნება, მათ შორის ტვინის შერყევაც. თავად რეზი ნასიძეც კლინიკაში რჩება და ვირუსულ ინფექციას მკურნალობს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო. მსახიობი მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

# ლინდა ადამია პანიკაშია



მომღერალი ლინდა ადამია პანიკაშია. ამის მიზეზი საქართველოში გამძვინვარებული გრიპის ვირუსია, რომელიც მის ოჯახსაც „ესტუმრა:

– ეს ეპიდემიური ვირუსი ეიჩ 1 ენ 1 ამოგვწყვეტს ნახევარ საქართველოს. არც ახალი წელი მიხარია და არაფერი. ჯარჯი რომ მივიყვანეთ საავადმყოფოში, იქ ხდებოდა განუკითხაობა, გული ვერ უძლებს ამდენი პატარის ამ მდგომარეობაში ყურებას. შედარებით უკეთ არის ჯარჯი, მაგრამ დანარჩენი ოჯახის წევრები უკვე ვერაფერს ვაკეთებთ, არაფერი არ გვშველის, არც გადასხმა, არც ანტიბიოტიკები და ა.შ.

უნდა ამოვწყდეთ მაინცდამაინც თუ რა ხდება ჩვენს თავს?!

ვინმემ რამე გამოსავალი იცით?

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ავსტრალიელებს მსოფლიოში ყველაზე სახიფათო მედუზებმა შეუტიეს



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში 22 ადამიანი იქნა საავადმყოფოში მას შემდეგ მოთავსებული, რაც ისინი შხამიანმა მედუზებმა ირუკანჯებმა დაკბინეს.

22,2 ათასზე მეტი ადამიანი დაზარალდა პორტუგალიური მედუზისგან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაშავებულთა რაოდენობა ორჯერ და მეტად აღემატება ბოლო 10 წლის საშუალო მაჩვენებელს.

მედუსა ირუკანჯი წყნარი ოკეანის მედუზების ჯგუფს განეკუთვნება. ის ძალიან შხამიანია და ყველაზე სახიფათოდ ითვლება ამ სახეობის არსებებს შორის. მასთან კონტაქტის შემდეგ 20 წუთში ადამიანი ძალიან მწვავე ტკივილს განიცდის ზურგისა და მუცლის არეში.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**9 იანვრისთვის**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6744 |
| ევრო | 3.0491 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3895 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9241 |

## ამინდის პროგნოზი 9 იანვრისთვის





## 8 იანვრიდან



იორამ ჩადუნელი

# საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 10 იანვრიდან



რომან გვენცაძე

# საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## მაურისიო პოჩეტინო: „მინდა, ტოტენჰემში კიდევ 20 წელი ვიმუშაო“



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ განაცხადა, რომ დიდხანს სურს ტოტენჰემში მუშაობა და მაგალითად არსენ ვენგერი მოიყვანა, რომელმაც არსენალში 22 წელი დაჰყო.

პოჩეტინო არ არის წინააღმდეგი, ვენგერის შედეგი გაიმეოროს.

– ვენგერს დიდ პატივს ვცემ, რადგან მან შეძლო ამდენი წლის განმავლობაში მაღალ დონეზე მუშაობა. მინდა, რომ მეც იგივე გავიმეორო და ტოტენჰემში უამრავი წელი გავატარო. ვფიქრობ, ეს რეალურია, – განაცხადა პოჩეტინომ.

მაურისიო პოჩეტინო ტოტენჰემში უკვე 4 წელია, მუშაობს.

## ტონი კროოსმა ტრავმა მიიღო



მადრიდის რეალის გერმანელმა ნახევარმცველმა ტონი კროოსმა რეალ სოსიედადის წინააღმდეგ შეხვედრაში ტრავმა მიიღო, რის გამოც ის, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირას გამოტოვებს.

რეალისთვის ეს კიდევ ერთი დამატებითი პრობლემაა, რადგან გუნდს ისედაც რთული პერიოდი აქვს. რეალ სოსიედადთან მადრიდელები საკუთარ მოედანზე 0:2 დამარცხდნენ და რეალი ესპანეთის ჩემპიონატში მე-5 პოზიციაზე იმყოფება.

ამის გამო უკვე დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ სანტიაგო სოლარი უახლოეს მომავალში რეალის მწვრთნელი აღარ იქნება.

## დიბალა, შესაძლოა, იუვენტუსიდან წავიდეს



ტურინის იუვენტუსის არგენტინელი შემტევი პაულო დიბალა, შესაძლოა, ზაფხულში გუნდიდან წავიდეს.

დიბალა ისე ხშირად აღარ ხვდება იუვენტუსის ძირითად შემადგენლობაში, როგორც ადრე და ამის გამო ის უკმაყოფილოა. პაულოს შეძენა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს. მათ შორის სახელდება მანჩესტერ იუნაიტედიც, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს.

იუვენტუსში ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ.

## მუნირი ბარსელონას ზაფხულში დატოვებს



ბარსელონის ფორვარდი მუნირ ელ ჰადადი ზაფხულში გუნდს დატოვებს, რადგან მისთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ მოიძებნება.

ერნესტო ვალვერდემ უკვე გააფრთხილა მუნირი, რომ ის იშვიათად გამოვა მოედანზე, ამიტომ ესპანელმა ფორვარდმა ახალი გუნდი უნდა მოძებნოს.

მუნირი უკვე იყო რამდენჯერმე განათხოვრებული და ახლა, როგორც ჩანს, ბარსელონა მას გაყიდის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

მაღაზიაში მყიდველი გამყიდველს ეუბნება:

– მოვითხოვ, უკან წაიღოთ ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები!

– ჩვენ უკან არაფერს ვიბრუნებთ, შემიძლია, შეგიცვალოთ!

•••

ორი ხანშიშესული ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გახსოვს, ახალგაზრდობაში რა ლამაზები ვიყავით? განსაკუთრებით მე!

– მახსოვს. ახლა კი რა საშინლად გამოვიყურებით! განსაკუთრებით შენ!

•••

რესტორნიდან გამოსული მთვრალი მამაკაცი კარისკაცს ეკითხება:

– ეს რა მყრალი სუნი დგას აქ?

– ეს სუფთა ჰაერია, ბატონო!

•••

ორი გოგონა ჩხუბობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბნელ მოსახვევში მთვრალი მამაკაცები რომ გადაგეყარონ, იცი, რას გიზამენ?

– რას?

– არაფერს!

•••

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, ცოლს რომ მოიყვან, მაშინ მიხვდები, რა არის ნამდვილი ბედნიერება!

– მართლა, მამი?

– ჰო, შვილო, მაგრამ მაშინ უკვე გვიან იქნება...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, გახსოვს, ერთი თვის წინ დოლზე რომ იყავი?

– მახსოვს და მერე რა?

– ფაშატმა დარეკა, ამბობს, რომ შენგან ფეხმძიმედაა!

•••

მამაკაცი ახლად შერთულ ქალს ეუბნება:

– ძვირფასო, უნდა გამოგიტყდე, რომ ერთი ნაკლი მაქვს...

– რა ნაკლი, საყვარელო?

– უმიზეზოდ ვეჭვიანობ ხოლმე.

– მაგაზე არ ინერვიულო, საყვარელო, უმიზეზოდ ეჭვიანობა არ მოგიწევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლეონარდო დი კაპრიო ნაფიც მსაჯულთა წინაშე წარდგა



ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი, „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი ლეონარდო დი კაპრიო ფარულად წარდგა კოლუმბიის ოლქის ნაფიც მსაჯულთა გაფართოებული კოლეგიის წინაშე, რომელსაც ჩვენება მისცა გახმაურებულ მრავალმილიარდიან თაღლითობის საქმეზე, რომელიც მალაიზიის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდს უკავშირდება და რომელიც უკვე ორი წელია გრძელდება.

ერთ-ერთი ამერიკული გამოცემის ინფორმაციით, რომელიც სიტუაციაში გარკვეულ წყაროს ეყრდნობა, პროკურორებს მიაჩნიათ, რომ მსახიობს შეუძლია უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მიაწოდოს მალაიზიელ ფინანსისტ ჯო ლოუზე, რომელიც მილიარდობით დოლარის მოპარვასა და ფულის გათეთრებაშია ბრალდებული. აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მტკიცებით, ლოუ ასევე აფინანსებდა საქმის დახურვის აქტიურ ლობირებას.

კერძოდ, რა ჩვენება მისცა ოსკაროსანმა მსახიობმა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიას, უცნობია. დი კაპრიოს წარმომადგენლებმა, ისევე, როგორც იუსტიციის დეპარტამენტის პრეს-მდივანმა, უარი განაცხადეს მსახიობის მიერ მიცემული ჩვენების კომენტირებაზე. თუმცა ამავე დროს ცნობილია, რომ მისი აგენტის მტკიცებით, დი კაპრიო სრულად თანამშრომლობს გამოძიებასთან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საუდელ ქალებს განქორწინებას სმს-ით შეატყობინებენ



საუდის არაბეთის ხელისუფლებამ სასამართლო დაავალდებულა, რომ ქალებს გაუგზავნონ შეტყობინება იმის შესახებ, რომ მათი ქორწინება გაუქმებულია. ამ ინფორმაციას ბრიტანული სააგენტო ავრცელებს.

ახალმა კანონმა წერტილი უნდა დაუსვას ე.წ. საიდუმლო განქორწინებებს, როდესაც მამაკაცები ქორწინებას ისე აუქმებდნენ, რომ ქალებს საქმის კურსში არც კი აყენებდნენ. ამიერიდან არაბული სახელმწიფოს მცხოვრები ქალები საკუთარი ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულნი იქნებიან და საშუალება ექნებათ ალიმენტის მიღების უფლებით ისარგებლონ.

ახალი კანონი წარმოადგენს იმ რეფორმის ნაწილს, რომელსაც ქვეყანაში მემკვიდრე პრინცი მოჰამედ ბინ სალმანი ატარებს. გასულ წელს საუდის არაბეთში ქალებს მანქანის ტარების უფლება მიეცათ. გარდა ამისა, მათ ასევე შეუძლიათ დაესწრონ საფეხბურთო მატჩებს. თუმცა ქვეყანაში ბევრი ისეთი რამეც რჩება, რისი გაკეთებაც არაბ ქალებს მამაკაცების ნებართვის გარეშე არ შეუძლიათ. მაგალითად, აიღონ პასპორტი, გათხოვდნენ, წავიდნენ საზღვარგარეთ, ბანკში ანგარიში გახსნან, გაიკეთონ დაგეგმილი ოპერაცია.

## სამუელ ეტოო: „ევროპაში შავკანიან მწვრთნელებს არ ენდობიან“



კამერუნელმა ფეხბურთელმა სამუელ ეტოომ განაცხადა, რომ ის მალე დაასრულებს საფეხბურთო კარიერას და ამის შემდეგ მწვრთნელობა სურს.

ეტოოს თქმით, მას ევროპაში წარმატების მიღწევა გაუჭირდება, რადგან შავკანიან მწვრთნელებს იქ ნაკლებად ენდობიან, მაგრამ ის მაინც აპირებს სამწვრთნელო კარიერის დაწყებას:

– აფრიკაში საკმაოდ ბევრი კარგი სპეციალისტია, მაგრამ ევროპაში მათ არ ენდობიან, რადგან შავკანიანები იქ ისევ მეორეხარისხოვან ადამიანებად ითვლებიან. მინდა, რომ წარმატებული მწვრთნელი ვიყო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. აეროპორტი პრაღაში; 2. იაპონური მოტოციკლეტი; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. ქართული სადაზღვევო კომპანია; 6. ქართველი ფოტოხელოვანი, ალპინისტი; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ხშირი ტყიანი ზონა ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთში; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. ხელოვნების მუზეუმი მილანში.

**თარაზულად**: 1. მოხეტიალე მომღერალი-მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ქართული კონიაკი; 9; ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი; 10. მხარე გერმანიაში; 13. ბრიტანული ნამცხვარი; 14. ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელის შემქმნელი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. წყალზე მცურავი მრავალწლოვანი ყვავილოვანი მცენარე; 20. ფილატელისტის ალბომი; 21. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*